CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 16 ნოემბერი, 2009 წელი. №251 (2289) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ბარაკ ობამას აზიური ტურნე
A8

მსოფლიო ახალი მთვარის მოლოდინში
A11

ქართულ-ირლანდიური ტრადიციული 1:1
A14

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი განკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

მოყვითალო ეტიუდი

ნოდარ ლადარია

10 ნოემბრის "24 საათში", რუბრიკით "თვალსაზრისი", დაიბეჭდა პაატა იაკაშვილის სტატია "ნაპატიები დანაშაულის ქვეყანა?..". სტატიის მთავარი მიზანი არის ჩვენი დარწმუნება, რომ საქართველოს უსათუოდ სჭირდება ლუსტრაციის კანონი. ავტორის პოზიცია სრულიად გასაგებია და ისიც ჩანს, რომ ამ პოზიციაზე დგომისთვის მას სერიოზული მორალური საფუძველი აქვს.

ამიტომ და კიდევ იმიტომაც, რომ ძირითად საკითხზე დისკუსიის გასამართავად მე ნამდვილად არ მეყოფა წონადი არგუმენტები, არ მოვყვები იმაზე მსჯელობას, რამდენად მოკლებულნი არიან ასეთივე სერიოზულ მორალურ საფუძველს ადამიანები, რომლებიც კანონის შემოღებას არ მიიჩნევენ გარდაუვალ აუცილებლობად. შემოვიფარგლები შენიშვნით, რომ ეს თავისთავად ცხადი არ გახლავთ. როგორც მრავალჯერ ყოფილა, ახლაც არჩეულ ტექსტს მხოლოდ საბაბად გამოვიყენებ და მის კრიტიკას კი არ მოვყვები, არამედ შევეცდები სხვა ფარული მიზეზები მოვუძებნო იმ ვითარებას, რომელსაც გვსაყვედურობს ავტორი.

დავიწყებ შორიდან...

რამდენიმე დღის წინათ, "ქორთიარდ მერიოტში" ჩატარდა მედიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ერთდღიანი საერთაშორისო კონფერენცია. ამ ღონისძიებას არ დავსწრებივარ. მაგრამ ვვარაუდობ, რომ უსაზღვროდ მოსაწყენი რამ უნდა ყოფილიყო, რადგან, ვინც დაესწრო, მერე განხილული საკითხების შინაარსზე კი არ მესაუბრებოდა, არამედ იმას მიყვებოდა, მშვენიერი სქესის რომელმა წარმომადგენელმა ვერ გაუძლო გათბობის მძლავრი სისტემით შექმნილ მიკროკლიმატს და საპირფარეშოს მიაშურა "კალგოტკების" გასახდელად.

მე თვითონ რომ მენახა, რა თქმა უნდა, არ დავწერდი — აქ მოვლენას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მის უმნიშვნელობას. პირველი გაოცების შემდეგ საკუთარ თავს დავუსვი შეკითხვა: რატომ არის, რომ მედიაში არსებული პრობლემების დასაძლევად მიმართული მსგავსი და განსხვავებული ქმედებები ერთგვარ უაზრო უსასრულობას დაემსგავსა? სხვა სიტყვებით: რატომ არ გადადის რაოდენობა ხარისხში? — თანაც ისე, რომ ხარისხის ამაღლებას აქედან უკვე აღარავინ ელოდება...

გაგრძელება A3 გვერდზე

ძალა ერთობაშია

ქახა ფაჩუაშვილი

"ბორჯღალოსნები" "იაგუარებზე" გამარჯვებას ზეიმობენ

ფოტო: ბაბარის ფოტო

გენაცვალეთ, ბიჭებო!.. - რამდენი ხანია სტადიონზე დავდივარ და 10-წლეულები იქნება, რაც ეს სიტყვები ქომაგს აღარ მიუძღვნია თავისი საყვარელი გუნდისთვის. აღარც ცრემლები ყოფილა და აღარც ის სიყვარული, ეროვნულ სტადიონს რომ მოსავდა ხოლმე. შაბათს ცრემლიც ვნახე, ემოციაც და დადებითი მუხტიც, რომელიც ისევ "ბორჯღალოსნებმა" აჩუქეს თავიანთ ერთგულ ქომაგებს. ხოლო, როცა ხინჩაგიშვილმა ეფექტური კომბინაციის შემდეგ, არგენტინელებს მეორე ლელო გაუტანა, ტრიბუნებზე პირველი ცრემლიც გამოჩნდა, გამარჯვებას მოწყურებული ქართველი კაცის ცრემლი, ვინც ქართული სულისკვეთება, ბრძოლის უნარი სწორედ ჩვენს მორაგბეებში დაინახა და ემოცია ველარ დამალა.

გენაცვ!!! - სიტყვა ჩაუწყდა ჩემს წინ მჯდომ შუახნის კაცს, ყელში ბოღმა მიეძალა და თვალიდან კურცხალი გადმოცვივდა. ქართველები კი ხინჩაგიშვილის ლელოს ზეიმობდნენ. ასეა, ყველა სახის შედეგი სწორედ იმიტომ არის შედეგი, რომ მის შეგრძნებაზე ტანში ჟრუანტელი გივლის.

გაგრძელება A13 გვერდზე

კალაშოვს და მის ადვოკატს ესპანეთში ასამართლებენ

რამდენიმე დღეში, მადრიდში, ქართული და რუსული მაფიის ლიდერის, ცნობილი "კანონიერი ქურდის", შაქრო კალაშოვის სასამართლო პროცესი გაიმართება. კალაშოვთან ერთად გაასამართლებენ მის ადვოკატს ალექსანდრ გოფშტეინს. რუს იურისტს ესპანეთის პროკურატურა შაქრო კალაშოვის დანაშაულებრივ საქმიანობაში თანამონაწილეობას, ფულის გათეთრებას და დანაშაულებრივი დაჯგუფების ჩამოყალიბებას ედავება. ალექსანდრ გოფშტეინის ინტერესების დასაცავად კი მადრიდში მისი კოლეგა, რუსი ადვოკატი გენრიხ პადვა გაემგზავრება. გენრიხ პადვა დარწმუნებულია, რომ მისი ბიუროს თანამშრომელი და მეგობარი ალექსანდრ გოფშტეინი უდანაშაულოა და მას ესპანეთის სასამართლო გაამართლებს.

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ ადვოკატი ალექსანდრ გოფშტეინი ესპანელმა სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ 2006 წელს, სოტო-ელ-რეალის ციხეში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი თავის დაცვის ქვეშ მყოფის, შაქრო კალაშოვის მოსანახულებლად იყო შესული და მისთვის 500 ათასი ევრო უნდა გადაეცა. რუსმა ადვოკატმა ესპანეთის ციხეში ერთი წელი გაატარა. ერთი წლის შემდეგ კი 2000 ევროს გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა ქვეყნის საზღვრების დატოვება აეკრძალა.

ალექსანდრ გოფშტეინს, სამი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე თვის წინ მიეცა ნებართვა რუსეთში გამგზავრებულიყო მძიმე ავადმყოფი მამის მოსანახულებლად.

გაგრძელება A6 გვერდზე

CMYK - 1

162-ე სკოლაში ორი ბავშვი დაინფიცირდა

ე.წ. ღორის გრიპით საქართველოში კიდევ ორი მოსწავლე დაინფიცირდა. შემთხვევა 162-ე სკოლაში დაფიქსირდა. მოსწავლეთა მშობლები სკოლაში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში აცხადებენ, რომ ისინი ბავშვებს სკოლაში არ გაუშვებენ.

აღნიშნულ საკითხზე "ინტერპრესნიუსს" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ შოთა ცანავამ განუცხადა, რომ მათი უწყება სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების რეკომენდაციას არ იძლევა. მისი ინფორმაციით, პრევენციისთვის სრულიად საკმარისია ოთახების სველი წესით დამუშავება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში აღნიშნავენ, რომ A/H1N1 ვირუსის შემთხვევებმა ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ უნდა შექმნას.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, სკოლაში სასწავლო პროცესი გუშინ შეწყდა და ის სავარაუდოდ, არც დღეს განახლდება. აღსანიშნავია, რომ H1N1 ვირუსის შემთხვევა აჭარაშიც დაფიქსირდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, დაინფიცირებულია სამი ადამიანი, მათ შორის ერთი 10 წლის ბავშვია.

დაინფიცირებულთაგან ორის შემთხვევაში ვირუსი იმპორტირებულია. ისინი რამდენიმე დღის წინ უკრაინიდან დაბრუნდნენ.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ისინი მკურნალობას სახლის პირობებში გადიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში დღეისათვის A/H1N1 ვირუსის 65 შემთხვევაა დაფიქსრებული, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ვირუსული ინფექცია ვლინდება.

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენ კომისიას სტატუსი არ შეეცვლება

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენ კომისიას სტატუსი სავარაუდოდ არ შეეცვლება. სტატუსის შეცვლის საკითხი კომისიის პირველ სხდომაზე კომისიის წევრმა ბეჟან ხურციძემ დააყენა და განაცხადა, რომ კომისიის მუშაობას აზრი არ ექნება, თუ მას საგამოძიებო კომისიის სტატუსი არ მიენიჭება.

სტატუსის შეცვლაზე გადაწყვეტილება პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე უნდა მიიღოს და, შესაბამისად, ინფორმაცია, დღევანდელ ბიუროს სხდომას უნდა მიეწოდოს. თუმცა, კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ კომისიაში ამ საკითხის განხილვა აღარ გაგრძელებულა.

კომისიის მდივანმა რატი მაისურაძემ "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, რომ საგამოძიებოსა და დროებით საპარლამენტო კომისიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის და, შესაბამისად, კომისიისთვის სტატუსის შეცვლის საჭიროებას დეპუტატები ვერ ხედავენ. სააგენტო ინტერპრესნიუსის ცნობით, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი კომისია მორიგ სხდომას 18 ნოემბერს გამართავს.

აფხაზეთში სატელეფონო კავშირის დამყარება რუსული კოდითაც იქნება შესაძლებელი

საქართველოს სატელეფონო კოდი 8 881 22 აფხაზეთში მხოლოდ ახალწლამდე იმოქმედებს, შემდეგ კი მარიონეტული რეჟიმი საქართველოს კოდს გათიშავს. სატელეფონო კავშირის დამყარება რუსული კოდითაც იქნება შესაძლებელი.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, 1 იანვრამდე ვადას იმ ადამიანებს აძლევენ, რომლებსაც საქართველოში ნათესავები და ახლობლები ჰყავთ.

"ამ დროის განმავლობაში ისინი აფხაზეთში რუსული კოდის შემოსვლას უნდა შეეჩვიონ", - აცხადებს შამბა.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, ახალი წლის შემდეგ აფხაზეთში დარეკვა მხოლოდ რუსეთის მიერ დაწესებული სატელეფონო კოდით იქნება შესაძლებელი.

აღნიშნული ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გააპროტესტა, როცა მოსკოვი და სოხუმი ამ საკითხზე შეთანხმდნენ. ახალ კოდს არც ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, რადგან დამოუკიდებელი კოდი მხოლოდ გაეროს წევრ ქვეყნებს ენიჭებათ.

გატაცებულ მოზარდებთან დაკავშირებით ცხინვალი კონტაქტზე გამოვიდა

გორის მუნიციპალიტრეტის გამგებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის იზოლატორში მყოფი მოზარდების გათავისუფლების საკითხი სავარაუდოდ, 2 დღეში გადაწყდება. მისი თქმით, ცხინვალის რეგიონმა ეს გადაწყვეტილება რამდენიმედღიანი დუმილის შემდეგ მიიღო. "ცხინვალი გუშინწინ კონტაქტზე გამოვიდა. ისინი შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს დაუკავშირდნენ. დღეს ან ხვალ, შედგება შეხვედრა, რაზეც კონკრეტულ საკითხზე ვილაპარაკებთ და ალბათ, ეს პრობლემა გადაწყდება", - აცხადებს გორის მუნიციპალიტრეტის გამგებელი. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, უკვე მე-11 დღეა მოზარდები ოკუპანტებისა და მარიონეტული რეჟიმის ტყვეობაში იმყოფებიან.

კიდევ ერთი კეთილი საქმე „ორიფლეიმისგან"

გასულ ზაფხულს კომპანია "ორიფლეიმ ჯორჯიამ" საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებისა და ქარელის სასულიერო გიმნაზიის აღსაზრდელებს ფართომასშტაბიანი ღონისძიება მოუწყო, რომელიც მიზნად ისახავდა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ფინანსური დახმარების შეგროვებას. კუს ტბაზე ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი დევიზით: **"ისინი მხოლოდ ოცნებობენ ... რას იზამ შენ?"** კონცერტზე დასასწრებად სპეციალურად იყვნენ ჩამოყვანილი აღსაზრდელები საგურამოდან და ასპინძიდან. ბავშვებმა ჩამოიტანეს საკუთარი ნამუშევრები: ნახატები, ნაქარგები, ხალიჩები, სათამაშოები, სამკაულები, მრავალფეროვანი და სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ნაკეთობები. ამ თვითნაკეთი ექსპონატებისგან მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დღის სამ საათზე კუს ტბაზე დაიწყო კონცერტი ბავშთა ანსამბლების მონაწილეობით. აღფრთოვანებული ღრიანცელი ისმოდა პლაჟის ერთ-ერთი კუთხიდან, სადაც ცნობილი მხატვარი ზაალ სულაკაური ბავშვებს ხატვის გაკვეთილს უტარებდა. სტადიონზე კი ჩატარდა სპორტული თამაშები, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბავშვთა გუნდები. ორიფლეიმის კონსულტანტების მეთაურობით ჩატარებული "მხიარული სტარტები" მართლაც მხიარული აღმოჩნდა. გამარჯვებულებმა სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს, მაგრამ სხვებიც არ დარჩნენ წაგებაში, მთავარი ხომ მონაწილეობაა.

საღამოს კი სცენა დაეთმოთ პოპულარულ ჯგუფებს და შემსრულებლებს, მათ შორის იყო: "ზუმბა", "თბილისელები", ვარსკვლავთა აკადემიის სტუდენტები, "ნიკოლ შოუ" და სხვები, ვინც შეუერთდნენ "ორიფლეიმ ჯორჯიას" საქველმოქმედო ინიციატივას.

აქციის მსვლელობისას შემოსული თანხით შესაძლებელი გახდა ქარელის გიმნაზიისთვის კომპიუტერული ოთახის მოწყობა! ახალ სასწავლო წელს ბავშვები შეხვდნენ თანამედროვე ტექნიკით გამართულ კომპიუტერულ ოთახში.

ნოემბრის დასაწყისში კი "ორიფლეიმის" ხალმძღვანელობა თავად ეწვია საგურამოს, ჩაიტანა საჩუქრები და ჩაიყვანა "ბასტი ბუბუს" მსახიობები, რომლებმაც გაახალისეს ბავშვები მხიარული შოუ-პროგრამით.

საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი ლალი ცერცვაძე: "ამ ზაფხულს კომპანია "ორიფლეიმმა" კუს ტბაზე არაჩვეულებრივი აქცია მოუწყო ბავშვებს. მათ უამრავი დადებითი ემოცია მიიღეს, ბევრი იმხიარულეს და ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ. ახლაც, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, "ორიფლეიმის" საქართველოს წარმომადგენლობამ ბევრი საჭირო ნივთი მოგვიტანა საჩუქრად: მაცივარი, გაზქურა, მუსიკალური ცენტრი, საბნები, ბალიშები, ტკბილეულობა...

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ ასეთი თანადგომისთვის. ბოლო პერიოდში კარგი ტენდენცია დამკვიდრდა: საზოგადოება მიხვდა, რომ ეს ბავშვები ჩვენი ნაწილია და მათ არამხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი მზრუნველობაც ესაჭიროებათ. ჩვენთან სულ 41 ბავშვია, რომლებიც 18 წლის ასაკამდე აქ ცხოვრობენ, იღებენ განათლებას, ბევრი ნიჭიერი ბავშვია და ვეხმარებით მათ ამ ნიჭის განვითარებაში. რა თქმა უნდა, კეთილი ადამიანების დახმარების გარეშე ეს ძალიან გაგვიჭირდებოდა."...

"ორიფლეიმ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ლევან ბოკუჩავა: "ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური ფონიდან გამომდინარე, გაჩნდა იდეა, დავხმარებოდით ამ ბავშვებს. მაშინ, როდესაც კომპანიის წარმატებაზეა საუბარი, არ შეიძლება წარმატებულმა კომპანიამ თავისი წვლილი არ შეიტანოს ქველმოქმედებაში. ვცდილობთ, ყოველთვის მივიღოთ მონაწილეობა ამ ტიპის ღონისძიებებში და მაქსიმალურად ეფექტური გავხადოთ ჩვენი ქველმოქმედება.

კომპანია "ორიფლეიმი" შვედეთის დედოფალ სილვიასთან ერთად შვედეთში არსებული საბავშვო ფონდის თანადამფუძნებელია. მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც ჩვენი კომპანიაა წარმოდგენილი, ბიუჯეტში ჩადებულია გარკვეული თანხა საქველმოქმედო ღონისძიებების განსახორციელებლად. ბუნებრივია, არც საქართველო გახდა გამონაკლისი. უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყნის სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა და ამიტომ საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია ამ ტიპის ღონისძიებები. "ორიფლეიმის" აქციებს არ ექნება ერთჯერადი ხასიათი და საგურამოს ბავშვთა სახლი არ დარჩება ერთადერთ დაწესებულებად, რომელსაც ჩვენ დავეხმარებით."

"ორიფლეიმ ჯორჯიას" მარკეტინგისა და პრ-ის სპეციალისტი ირინა ყიასაშვილი: "ძალიან მიხარია, რომ ცივ ზამთარს ბავშვები შეხვდებიან ახალი თბილი საბნებითა და ბალიშებით. "ბასტი ბუბუს" გუნდმა ბავშვებს ერთი დაუვიწყარი დღე აჩუქა, მაგრამ ბაშვებიც არ დარჩნენ ვალში და სიურპრიზი მოგვიმზადეს - საცეკვაო ნომერი. მათ ცეკვას რომ ვუყურებდით, გული აგვიჩუყდა, სხვების არ ვიცი და მე კი თვალებზე ცრემლები მომადგა. სხვათა შორის, ერთი შემთხვევა გამახსენდა. შარშან აგრეთვე საჩუქრებით მოვინახულეთ ასპინძის ბავშთა სახლი. დირექტორმა გვიამბო, რომ სპეციალურად ჩვენი ჩამოსვლისთვის ბავშვებმა მინი-სპექტაკლი დადგეს. თანაც კატეგორიული უარი განაცხადეს ძველი სპექტაკლის ჩვენებაზე, რომელიც ჩვენ, ბუნებრივია, ასევე არ გვინახავს, ანუ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს."

წლების განმავლობაში "ორიფლეიმ ჯორჯიამ" ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება მოაწყო, ძირითადად - მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის. კომპანია განაგრძობს ამგვარ საქმიანობას და ჩვენ მომავალშიც სიამოვნებით მოგაწვდით ინფორმაციას ამის შესახებ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მოყვითალო ეტიუდი

პირველი გვერდიდან

როგორც პაატა იაკაშვილის მიერ დასმულ პრობლემას, ასევე ამ კითხვასაც არ შეიძლება ჰქონდეს ერთადერთი პასუხი. პასუხი მრავალია და თანაც არსებობს განხილვის არე, სადაც ეს ორი პრობლემა იკვეთება.

ვნახოთ, რას წერს პაატა იაკაშვილი. მსჯელობის ძაფი შემდეგია: საქართველოში ერიდებიან ვინმეს საკადრისად დასჯას წარსული დანაშაულისათვის, რადგან ეს "უხერხულ მდგომარეობაში" აყენებს დამნაშავის შთამომავლებს. ეს მორალური მდგომარეობა მკვეთრად ეწინააღმდეგება დასავლურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოქმედ მორალურ კანონებს, რომელთა ძალით "ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედი სუბიექტის ავტორიტეტი, კარიერული წინსვლა და სოციალური მდგომარეობა საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული".

ბურჟუაზიული მორალის ამ ფუძემდებლური პრინციპების საილუსტრაციოდ ავტორს საკმაოდ მოულოდნელი მაგალითი მოჰყავს: "გავიხსენოთ თუნდაც გენიალური ფრანგი მწერლის, გი დე მოპასანის რომანი 'ლამაზი მეგობარი', რომლის გმირმა, ჟორჟ დიურუამ მინისტრს თავის ცოლთან შეუსწრო და ეს საკმარისი გახდა არა მარტო მინისტრის დასამხობად, არამედ მთელი კაბინეტის გადასაყენებლად". კეთილი და პატიოსანი, გავიხსენოთ ეს ყველაფერი, თუნდაც იმის დავინყების ფასად, რომ დასახელებული რომანის პათოსი სწორედ ბურჟუაზიული მორალის ფარისევლური ბუნების მხილებაა, მის დამწერს კი "გენიალურზე" მეტად ეკუთვნის ეპითეტი "გამოჩენილი".

ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი ავტორის შემდეგ ნაყოფიერ იდეაზე: "საზოგადოებრივი აზრი" საქართველოში არაფერს წყვეტს. სწორედ ამიტომ — დავამატებთ ჩვენ — ის არც არსებობს. უფრო სწორად, არ არსებობს მისი შემქმნელი და წარმმართველი მექანიზმები.

აი აქ იკვეთება მედია-კონფერენციის კურიოზული აღქმა და პაატა იაკაშვილის სტატიაში ასახული ვითარება. ერთი ემპირიულად ადასტურებს, მეორე კი თეორიულად გვიჩვენებს, რომ ჩვენში ძალიან სუსტია შინაარსის მიერ ინტერესი და, როგორც შედეგი, არ არსებობს მხილების არანაირი მოთხოვნილება. როგორ უნდა ვილაპარაკოთ ლუსტრაციის კანონის ქმედითობაზე ქვეყანაში, სადაც არა გვაქვს, მაგალითად, ყვითელი პრესა ამ სიტყვის ჩვეული გაგებით და ყურადღებას მიმდინარე მოვლენების არსებითი მნიშვნელობა კი არ იპყრობს, არამედ ფორმალური ან უბრალოდ ჩვეული წესებიდან თუნდაც უმნიშვნელო გადახრა.

როგორ უნდა იმუშავოს ლუსტრაციის კანონმა ქვეყანაში, სადაც საყოველთაო და არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ ოფიციალურად პოლიტიკური მსჯელობის საგანი ხდება საერთო მოხმარების საიტზე დადებული რამდენიმე უხარისხო კლიპი; სამაგიეროდ, არავინ ამჩნევს, მაგალითად, გაზეთ "ალიაში" საპატრიარქოს წინააღმდეგ გაჩაღებულ მხილების კამპანიას. ამ უკანასკნელის ხარისხზე და სამართლიანობაზეც ვერ დავდებ თავს, მაგრამ ბევრად უფრო ყურადსაღები რომ არის, ეჭვი არ მეპარება.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უბრალოდ პაროდია კი არ არის, არამედ შეიცავს ინფორმაციას, რომელსაც ფაქტობრიობის პრეტენზია აქვს; მეორეც, ამ მხილებითი კამპანიის შემადგენელი სტატიების ავტორებად სამღვდელო პირები გვევლინებიან. ეს უკვე თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად იმისა, მართალია თუ არა სტატიებში გადმოცემული შინაარსი, საეკლესიო იერარქიის წიაღში არსებულ სერიოზულ დაძაბულობაზე მიგვანიშნებს.

და მაინც, საზოგადოების ყურადღება ამაზე მეტად ვინმე "მამა ბუასილის" ინტერნეტ-შემოქმედებამ მიიპყრო. რა მნიშვნელობა აქვს, რას გვიმტკიცებენ საქმეში ჩახედული ადამიანები? — გოგოებმა "კალგოტკები" გაიხადეს!

დავუბრუნდეთ ლუსტრაციის კანონს. როგორც ვთქვით, იმიტომ კი არ ვუბრუნდებით, რომ მისი აუცილებლობა ან უმნიშვნელობა ვამტკიცოთ, არამედ იმისთვის, რომ დავინახოთ, როგორია არგუმენტაციის დონე იმ საზოგადოებაში, რომელსაც შინაარსი არ აინტერესებს. უნდა ითქვას, რომ ამ იდეური ზედაპირულობით მანიპულაცია იმათაც იზიდავს, ვინც, ერთი შეხედვით, სერიოზულ მორალურ საფუძველზე დგას. აი რა არგუმენტაციას გვთავაზობს პაატა იაკაშვილი თავისი პოზიციის განსამტკიცებლად.

ლოგიკური მიმდევრობა შემდეგნაირად ვითარდება. ჯერ მოყვანილია განმარტებითი ხასიათის ციტატა კანონიდან და მას ასეთი შეფასება მოსდევს: "როგორც ვხედავთ, ეს კანონი მკაცრი არ არის, პირიქით, შეიძლება ითქვას, ინდულგენციის ბოძებაა იმათთვის, რომელთაგან არცთუ ცოტას უპატიებელი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნის, ერისა და სახელმწიფოს წინაშე". საიდან დავიწყოთ კრიტიკა? ბოლოდან? მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რომელი სახელმწიფოს წინაშე იყო დანაშაული სუკ-თან თანამშრომლობა? პირიქით, ეს სწორედ არსებული სახელმწიფოს წინაშე ლოიალობის გამჟღავნება იყო. ან იქნებ კანონს აქვს უკუქმედების ძალა და ჩვენ იმ სახელმწიფოს მტრებს "ვსჯით", რომელიც ჯერ არ არსებობდა? არა, ამ წინააღმდეგობას კიდევ ეშველება: ბოლოს და ბოლოს, ლუსტრაციის კანონი არ სჯის. აქ უფრო სხვა რამაა მნიშვნელოვანი — სიტყვები: "არცთუ ცოტას". ავტორი გვამცნობს, რომ მრავალი "აგენტიდან" საგრძნობ ნაწილს "უპატიებელი დანაშაული" აქვს ჩადენილი: ჰოდა, კანონი იმისთვის გვინდა, რომ დიდ და მცირე დამნაშავეებს ერთნაირი "ინდულგენცია" უნდა მივანიჭოთ.

აქ ჩანს პირველი არგუმენტაციის პირველი სისუსტე, რომელიც გამოიხატება შემდეგი დებულებით: მივიღოთ კანონი, ის მაინც არაფერს შეცვლის.

კვლავაც მივყვეთ ავტორის მსჯელობას. ამის შემდეგ ავტორი წერს: "იმათი რიცხვი, ვისზედაც ეს კანონი ვრცელდება, საკმაოდ დიდია, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 90-იანი წლების დასაწყისისთვის, მხოლოდ კგბ-ს ინფორმატორთა რაოდენობა მილიონს აღწევდა, ეს საქართველოს მოსახლეობის ერთი მეხუთედია... დავუმატოთ ამათ პარტოკრატები და ბიუროკრატები და პრობლემის მასშტაბს დავინახავთ". კაცმა რომ თქვას, ერთი მილიონი სრული მოსახლეობის მეხუთედი კი არა, მეტია. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც უფრო მეტია, ამით პრობლემა კი არ იზრდება, არამედ მცირდება. სანამ ამას ავხსნიდეთ, ისიც ვთქვათ, რომ "ინფორმატორები", "პარტოკრატები" და "ბიუროკრატები" არ შეადგენენ სამ სრულიად დამოუკიდებელ სიმრავლეს, რომელთა ელემენტების რაოდენობა უნდა შევკრიბოთ. თანაც "პარტოკრატები" და "ბიუროკრატები" სრულიად სხვადასხვა ტიპის სიმრავლეებია: ერთი მსოფლმხედველობას ასახავს, მეორე სამსახურებრივ სტატუსზე მიუთითებს. ერთი სიტყვით, ვითარება ასეთია: ოდესღაც XVII საუკუნის ერთი რუსი ბერის ჩანაწერს გადავაწყდი — როგორ უნდა ითვლებოდეს ჩუკენობა ცოდვად, როცა ყველას გვაქვს ამაში წვლილიო. როცა საკმარისი მორალური საფუძველი გვაქვს კომუნისტური წარსულის დასაგმობად, არ უნდა შევქმნათ ვითარება, როცა მოსახლეობის სამი მეოთხედი დანარჩენ ერთ მეოთხედს კანონით ზღუდავს. თავისთავად ცხადია, რომ იურიდიული მექანიზმების ამუშავება ამ შემთხვევაში უფრო ზარალს მოიტანს, ვიდრე სარგებლობას.

ესეც არგუმენტაციის მეორე სისუსტე: მივიღოთ კანონი, ის საზოგადოების დიდი ნაწილს ამოსდებს ლაგამს. რითია უკეთესი თვით სუკის პრინციპებზე?

სხვა საქმეა წარსულის მორალური შეფასება. მაგრამ იქ, სადაც შინაარსი უცხო ხილია, ძალიან ძნელია კანონისა და მორალის გარჩევა: ადამიანები გამოხატვის თავისუფლებასა და "კალგოტკებს" ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან და, აბა, სხვა რა უნდა მოვთხოვოთ?

ამ ვითარებაში ჩვენი ავტორიც ერთადერთ ვარგის ხერხს, ემოციებსა და თავმოყვარეობაზე ზემოქმედებას მიმართავს: მოჰყავს ლევ ტროცკის აზრი ტერორისტ ევნო აზეფის შესახებ და მასზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ სუკის აგენტები სულ მთლად გონებაჩლუნგები არიანო. დასკვნა მკვეთრად პათეტიკურია: "ნურავინ დაიბრალებს გენიოსობას და რა ნიღბითაც არ უნდა მოგვევლინოს, როგორც არ უნდა დაგვახვიოს თავბრუ ზნეობასა და მამულიშვილობაზე ლაპარაკით, მაინც შევიცნობთ მასში გონებაჩლუნგს". თავს ვერ ვიკავებ: ნეტა როგორ შეიცნობთ?

ესეც მესამე სისუსტე: მივიღოთ კანონი, რადგან ის გონებას გაგვიხსნის. როგორც იტყვიან, no comment...

კიდევ ერთხელ გავიმეორებ. მე არ ვამტკიცებ, რომ ლუსტრაციის კანონი არ არის საჭირო; მე არ ვამტკიცებ, რომ ის საჭიროა. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ საკუთარი იდეები ცხადად და მარტივად უნდა დავასაბუთოთ. სიცხადე მით უფრო გვჭირდება, რომ ერთადერთი საშუალებაა "კალგოტკებში" გახლართული ადამიანების გამოსახსნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც დავემსგავსებით ლამაზ მეგობარს. თანაც მოპასანისას კი არა — ჩემსას.

და რადგან სტატიას "მოყვითალო ეტიუდი" დავარქვი, ყვითლად უნდა დავამთავრო კიდეც. ბავშვობაში, ასე ექვსი თუ შვიდი წლის ასაკში, ძალიან ვოცნებობდი, ვინმე გოგოს ვყვარებოდი და მის აკვიატებად ვქცეულიყავი. ბედი, მოგეხსენებათ, ირონიული რამაა, ჰოდა, მეც ამიხდა ეს ოცნება, თუმცა კი უცნაურად: სიბერის კარს მიმდგარი, გოგონას კი არა, ბიჭუნას აკვიატებად ვიქეცი. მართალია, ეს უბრალო ბიჭუნა კი არა, ლაშა ბუღაძეა...

უკვე მერამდენე პარასკევია მის რუბრიკაში "კომენტარი მთავარზე" ფიგურირებს ვინმე "პროფ. ლადარია". ამ პერსონაჟის კავშირი ჩემთან ძალიან პირობითია: გარდა იმისა, რომ ის თურმე "24 საათში" ქვეყნდება და ხანდახან ტელევიზორშიც ჩანს, მასთან შინაარსობრივი საერთო არაფერი მაქვს. სხვა რა დამრჩენია სიხარულის გარდა? მით უმეტეს, საბაბი მაქვს, გალაკტიონის სიტყვებით მივმართო ლამაზ მეგობარს: ჩემს გაბავშვებას ახლა შენი დაკაცება აჯობებს, ჩემო ლაშიკო. იმედს ვიტოვებ, რომ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

მიწვევა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად "დემოკრატიული ღირებულებები ქართულ კულტურაში"

"ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო" აცხადებს საგრანტო კონკურსს "დემოკრატიული ღირებულებები ქართულ კულტურაში" ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის.

რატომ ქართული კულტურა და დემოკრატია?

დემოკრატია, როგორც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის უალტერნატივო გზა ქართულ საზოგადოებაში მუდმივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს. საზოგადოების ნაწილი ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის საკითხსაც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის გაგებული დემოკრატიის არსი. არსებობს აზრი, რომ დემოკრატია მთლიანად დასავლური ფენომენია და ქართულ ყოფასთან, ტრადიციებთან, ზოგადად კულტურასთან არაფერი აქვს საერთო. მაგრამ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ დემოკრატია სწორედ ეროვნულ საფუძველზე უნდა აღმოცენდეს, რომ სწორედ მაშინ გახდება ეს სისტემა რეალურად მოქმედი, თუკი იმ კულტურულ ღირებულებებზე და მსოფლმხედველობაზე იქნება დამყარებული, რომელიც ქართულ თვითმყოფადობას განსაზღვრავს.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ მთლიანობაში მკაფიოდ განსაზღვროს ის, თუ რა გზით სურს განვითარება, ჩვენი აზრით, მას სჭირდება მეტი ინფორმაცია ქართული კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების ურთიერთმიმართებაზე.

ინიციატივა მიზნად ისახავს დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციას, კერძოდ, დემოკრატიული ღირებულებების წარმოჩენას, რომლებიც გადმოცემულია ქართულ კლასიკურ, თუ ხალხურ ლიტერატურაში, ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებებში, სამართლის ძეგლებში, რომლებიც გვხვდება ეთნოგრაფიულ ტრადიციებში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შეხედულებებში თუ სხვა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს. ერთი პროექტისთვის გრანტის მაქსიმალური თანხა არის 25 000 აშშ დოლარი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2009 წლის 11 დეკემბრის 17:00 საათამდე.

კონკურსის პირობები სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ ფონდის ვებ-გვერდზე:

www.osgf.ge

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ფონდის ოფისში ყოველ ხუთშაბათს 16:00 საათზე.

საკონტაქტო პირი:
ანი ახალკაცი, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.
ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25-04-63, 25-05-92. ფაქსი: 29-10-52.
ელფოსტა - **ani@osgf.ge**

კონკურსი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცხადდება. აღნიშნული პროგრამა, თავისი შინაარსით, ფონდის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთების გადაადგილების მიმართ კანონმდებლობა ლიბერალური ხდება

საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთების გადაადგილების მიმართ კანონმდებლობა ლიბერალური ხდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შედის.

დღეს მოქმედი ნორმით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, რომლის სრული მასა აღემატება 44 ტონას, დაშვებულია მხოლოდ საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი 10 კმ-ის რადიუსში მდებარე საბაჟო კონტროლის ზონისაკენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვირთის მფლობელმა ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა გადატვირთოს, დაჯარიმდეს და შემდეგ ისევ დატვირთოს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" კანონპროექტის ავტორმა ლაშა თორდიამ განუცხადა, ეს ჩანაწერი რკინიგზის ობიექტის ხელმისაწვდომობას შეუძლებელს ხდის.

შესაბამისად, კანონპროექტით, დაშვებული ხდება სახმელეთო სასაზღვრო-საბაჟო გამშვები პუნქტებიდან 25 კმ-ის რადიუსში მდებარე სარკინიგზო ობიექტებამდე მძიმეწონიანი იმ ავტოსატრანსპორტო ტვირთების მიტანა, რომელიც 44 ტონას აღემატება. აღნიშნულ რადიუსში გამავალი ავტოსატრანსპორტო საშუალება აღარ დაჯარიმდება და მის მფლობელს აღარც ტვირთის დაცლა მოუწევს.

კანონპროექტს საპარლამენტო კომიტეტები მხარს უჭერენ და მისი პირველი მოსმენით განხილვა უახლოეს პლენარულ სხდომაზე იგეგმება. **ინტერპრესნიუსი**

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ სამრეწველო-სავაჭრო პალატის წევრებისთვის პრეზენტაცია გაიმართება

შპს "რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა" საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის წევრებისთვის პრეზენტაციას გამართავს.

სავაჭრო პალატის ინფორმაციით, პრეზენტაცია ხვალ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება. პრეზენტაციაზე დეტალურად განიხილება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მიმდინარე პროცესები და სამომავლო გეგმები. ასევე, პრივილეგიები, რასაც აღნიშნული ინდუსტრიული ზონა მომავალ ინვესტორებს სთავაზობს.

საქართველოში არსებულ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან დაკავშირებით, მათ შორის ფოთის თავისუფალ ინდუსტიულ ზონაში არსებულ ვითარებაზე, პრეზენტაცია ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობის სხდომაზეც გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

ლიტერატურული სიახლე მომავალი ბანკირების წარმატებისათვის

13 ნოემბერს კულტურულ ცენტრ "მუზაში" გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა "საბანკო საქმის საფუძვლები". ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც საბერძნეთის ბანკების ასოციაციის მიერ 2007 წელს გამოიცა. ჩვენს ქვეყანაში კი მის თარგმნასა და საზოგადოებაში წარმოჩენაზე საქართველოს საბანკო ტრენინგ-ცენტრმა იზრუნა, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ USAID -ის დახმარებით დაარსდა. წიგნის პოპულარიზაციის ყოველგვარი ფინანსური უზრუნველყოფა საბერძნეთის დახმარების პროგრამას ეკუთვნის.

წიგნი დღეს 27 ქვეყანაში გამოიყენება და სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება საბანკო სექტორში თანამშრომელთა საგამოცდო შეფასება.

მისი პრეზენტაცია საქართველოს საბანკო ტრენინგ-ცენტრის დირექტორმა ლევან გოგოლაძემ წარმართა. როგორც მან აღნიშნა, ეს იქნება პირველი ლიცენზირებული სამტომეული, რომელიც საბანკო განათლებაში არსებულ სიცარიელეს შეავსებს. სახელმძღვანელო სამი წიგნისაგან შედგება: 1. მონეტარული და ფინანსური გარემო; 2. პროდუქტები და მომხმარებლები; 3. საბანკო სექტორის ეთიკა და მართვა.

პრეზენტაციას დაესწრნენ კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტები - ზურაბ გვასალია და კახა შენგელია, იქ ასევე იმყოფებოდა საბერძნეთის საბანკო ცენტრის წარმომადგენელიც. საინტერესო პრეზენტაცია ალაფურშეტით დასრულდა.

დღეს ნიკა გილაური ეკონომიკის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ეკონომიკის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება გააცნო და აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ნიშნები ფიქსირდება. კონკრეტულად, მისი თქმით, საკმაოდ გაზრდილია ავტომანქანების, უძრავი ქონების გაყიდვები. მისი თქმით, ბანკებში ასევე გაიზარდა დეპოზიტების რაოდენობა, რაც საბანკო სექტორის გააქტიურებას უკავშირდება.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განმარტა, თუ რატომ იყო აუცილებელი საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების აქტის შემუშავება და ასევე, მან ისაუბრა იმ სამი ინიციატივის შესახებ, რომელიც პრეზიდენტმა გუშინ გაახმოვანა და რომელიც კერძო სექტორის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ცვლილება დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების საკითხში, რადგან კერძო სექტორს ნაღდი ფული ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება.

მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დავების განხილვის საბჭოში ბიზნესსექტორის წარმომადგენელი ჩაერთვება და ისიც, რომ კომპანიების 48 საათზე მეტი ხნით დალუქვას უშუალოდ ფინანსთა მინისტრი და შემოსავლების სამსახურის უფროსი გადაწყვეტენ. როგორც მან აღნიშნა, ეს კერძო სექტორის ნდობას გააღრმავებს მთავრობის მიმართ.

ეკონომიკის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრი პერიოდულად ხვდება და იმ სიახლეების შესახებ აწვდის დეტალურ ინფორმაციას და განმარტებებს, რომელსაც მთავრობა ატარებს. **ინტერპრესნიუსი**

Azersun Holding -ის ახალი ინვესტიცია საქართველოში

უახლოეს წარსულში ზოგიერთი მედია საშუალების ყურადღების ცენტრში საქართველოში იმპორტირებული ჩაის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები მოექცა. აღნიშნული სფეროს სპეციალისტები განმარტავენ , რომ იმპორტირებული ჩაის წარმოებაზე ლაბორატორიული კონტროლი არ ხორციელდება. გარდა ამისა, უხარისხო ჩაისთან ერთად, ქვეყანაში ქიმიური საღებავებით შეფერადებული ჩაიც შემოაქვთ, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. უხარისხო ჩაის მწარმოებელთა ჩამონათვალში აზერბაიჯანული კომპანია Azersun Holding -იც მოხვდა. მათ მიერ წარმოებულ ჩაი Final, PASHA-სა და MARYAM-ზე სიუჟეტები გავიდა რამდენიმე ტელეკომპანიის ეთერში. ამ ეჭვების გასაქარწყლებლად საქართველოში Azersun Holding-ის აზერბაიჯანელი წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და სასტუმრო "ვარაზში" პრესკონფერენცია გამართეს. საკუთარ გამოსვლაში ჰოლდინგის წევრებმა ხაზი გაუსვეს კომპანიის მრავალწლიან გამოცდილებას და მათ მიერ იმპორტირებული ჩაის ხარისხს. პრესკონფერენციის დაწყებამდე, დამსწრე აუდიტორიას საშუალება ჰქონდა იმ ვიზუალური მასალისთვის ეყურებინა, რომლიც კომპანიის დაარსებას, მოღვაწეობასა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას ასახავდა. Azersun-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, კაზიმ ბაბაევმა განმარტა, რომ ჩაის იმპორტი საქართველოში უკვე 10 წელია ხორციელდება და საკმაოდ წარმატებულადაც. სწორედ ამის გამო, წინასწარ ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველო მზადაა ახალი ბიზნეს პროექტებისთვის. "საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ სწრაფად ვითარდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დროა ინვესტიციების ახალი ეტაპი დაიწყოს"- განმარტა კაზიმ ბაბაევმა. აქედან გამომდინარე, Azersun Holding- ი განაგრძობს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას რეგიონში ჩაის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. ჰოლდინგის დახმარებით აზერბაიჯანში ახალი პლანტაციები ჩნდება. კომპანიამ საქართველოში ჩაის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია შეიმუშვა. პირველ ეტაპზე თბილისში ჩაის საწარმო აშენდება, რომლის წარმოების მოცულობაც წლიურად 2 000 ტონას შეადგენს. განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა კი 2 მლნ აშშ დოლარია. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, საქართველოში აშენებული ახალი ფაბრიკა უპასუხებს მსოფლიოს ყველა ტექნოლოგიურ სტანდარტს. საწარმოს მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება, თუმცა მისი დასრულების ვადა ჯერჯერობით უცნობია. აღსანიშნავია, რომ საწარმოში 30 ადამინი დასაქმდება. ჰოლდინგის მიზანი საქართველოში არსებული ჩაის ბიზნესის განვითარება და მისი პოპულარიზაციაა. საწარმო ადგილობრივი ხარისხის ჩაისთან ერთად ინდოეთიდან და შრი-ლანკიდან ჩამოტანილ ჩაის გამოუშვებს.

ჩაის ექსპერტმა საქართველოში თენგიზ სვანიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის პროექტი ხელს შეუწყობს შიდა პროდუქტის მაქსიმალურად გამოყენებას და მის ექსპორტირებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება Azersun-ის მიერ წარმოებული ჩაის უხარისხობის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს, სვანიძემ განმარტა, რომ პრესკონფერენცია საზოგადოებაში მაქსიმალურად სწორი ინფორმაციის გასავრცელებლად გაიმართა. "ყველას, მათ შორის ჟურნალისტებს დაურიგდათ ამ კომპანიის გამოშვებული ჩაი. ყველა უნდა დარწმუნდეს, თუ როგორი ხარისხის პროდუქტს უშვებს იგი.

შეგახსენებთ, რომ შპს Sun Tea Azerbaycan, რომელიც აწარმოებს Pasha, Final და MARYAM-ის მარკების ჩაის, 1996 წელს ბაქოში ჰეიდარ ალიევის მონაწილეობით გაიხსნა. კომპანია, რომელიც ჩაის წარმოებისას უმაღლეს ტექნოლოგიებს იყენებს და სარგებლობს განსაკუთრებული პრესტიჟით, Azersun Holding- ის ერთ-ერთ პირველ საინვესტიციო პროექტს წარმოადგენს. საწარმო წლიურად 10 000 ტონა პროდუქციას აწარმოებს, უშვებს ჩაის მრავალნაირ ასორტიმენტს, მწვანე და ხილის ჩაის. აღსანიშნავია, რომ შპს Sun Tea Azerbaycan- ი ჩაისა და ყავის მსოფლიო ფესტივალის მონაწილეა, რომელიც 2005 წლიდან ტრადიციულად მოსკოვში იმართება. ფესტივალზე 52 ქვეყნიდან ჩაისა და ყავის ცნობილ ბრენდებს 60-მდე კომპანია წარადგენს. 2005-2008 წლებში აღნიშნულ ფესტივალზე Sun Tea Azerbaycan- ის 14 ოქროს, 12 ვერცხლის, 8 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. გარდა ამისა, ჰოლდინგი 2 გრან-პრის და უამრავი დიპლომის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ Sun Tea Azerbaycan პირველი აზერბაიჯანული კომპანიაა, რომელმაც "პროდუქციის და მომსახურების ორგანიზების მაღალი ხარისხისთვის" დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის სახელმწიფოთშორისი საბჭოს ჯილდო მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საწარმოში თანამედროვე ლაბორატორია ფუნქციონირებს, რომლის მეშვეობითაც ჩაის ხარისხზე 100 პროცენტიანი კონტროლი ხორციელდება.

მაგდა ლეკიაშილი

ნავთობის ფასის ზრდა შეჩერდა

გრიგოლ ნიკოლეიშვილი

წინა კვირის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გლობალური ეკონომიკის აღდგენის ტემპების შეფასება იყო. აგრეთვე, აქედან გამომდინარე როგორი უნდა იყოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთავრობების პოლიტიკა - უნდა გააგრძელონ მათ ეკონომიკის სტიმულირება თუ უკვე დროა მთავრობებმა ეკონომიკაში ჩარევა შეამცირონ. ამ საკითხს "დიდი ოცეულის" ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზეც განიხილავდნენ. მოულოდნელად, ეკონომიკური სტიმულირების მომხრეთა რიგებში აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთი, რომელიც ყოველთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავრობის სათავეში ლეიბორისტები იყვნენ, უპირატესობას ეკონომიკური პრობლემებისადმი ლიბერალურ მიდგომას ანიჭებდა. საქმე ის არის, რომ დიდი ბრიტანეთი დღეს თითქმის ერთადერთი დიდი ეკონომიკაა, სადაც გრძელდება რეცესია. ამიტომ მისი მთავრობა მიიჩნევს, რომ ძლიერმოქმედი საშუალებების გამოყენება ჯერ კიდევ საჭიროა.

ეს ძლიერმოქმედი საშუალებები კი დიდ ბრიტანეთს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. საკრედიტო სააგენტო "ფითჩმა" (Fitch Ratings) განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის საკრედიტო რეიტინგი უახლოეს დროში შეიძლება გადაისინჯოს. დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთია ოთხი ქვეყნიდან (აშშ, საფრანგეთი, გერმანია), რომელთათვისაც სააგენტოს მინიჭებული აქვს უმაღლესი რეიტინგი AAA. კერძოდ, თუ დიდი ბრიტანეთი მიიღებს კიდევ ერთ გეგმას ფისკალური სტიმულებისა, მაშინ ეს საკითხი, როგორც ეს სააგენტოში განაცხადეს, დღის წესრიგში აუცილებლად დადგება. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს საკრედიტო რეიტინგი რამდენიმე ქვეყანას დაუქვეითდა. მაგალითად, ესპანეთი და ირლანდია, რომელთაც რეიტინგი უმაღლესიდან AA+ -მდე დაუქვეითდათ.

ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმების შენარჩუნების იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც პოპულარულია. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ზრდა ჯერ კიდევ საფრთხის წინაშეა. ისინი ყურადღებას უმუშევრობის მაღალ დონეს მიაპყრობენ. მათი აზრით, სტიმულირების ახალი პაკეტი უმუშევრობის დონის შესამცირებლად აუცილებელია.

ამასთანავე, ასეთი პაკეტის მიღება იოლი საქმე ნამდვილად არ იქნება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების გიგანტურ საბიუჯეტო დეფიციტს გავითვალისწინებთ. უკანასკნელი მონაცემებით, ოქტომბრის თვეში დეფიციტმა 176.4 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც პროგნოზირებულზე უფრო მეტი აღმოჩნდა. ანალიტიკოსების აზრით, დეფიციტის ასეთი ზრდის შემთხვევაში, მისი წლიური მნიშვნელობა 1.5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს.

უმუშევრობა და საბიუჯეტო დეფიციტი ამერიკის მთავარ პრობლემებად რჩება, თუმცა ბევრი სხვა ეკონომიკური მაჩვენებელი ოპტიმიზმის გარკვეულ საფუძველს იძლევა. ამერიკის უძრავი ქონების ბაზარზე ფასების დაცემა შეჩერდა, უკანასკნელ თვეებში კი ამ ბაზრის ბევრ სეგმენტზე გარკვეული ზრდა დაფიქსირდა. ამას ამერიკის რიელტერთა ეროვნული ასოციაცია (National Association of Realtors) ადასტურებს. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსების აზრით, ჭეშმარიტი აღორძინება ამ სფეროში მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ბაზარი უძრავი ქონების ბუმის დროს აშენებული ფართობების სრულ ათვისებას მოახდენს.

გარკვეული წარმატებების დონეზე, რომელსაც მსოფლიოს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა კრიზისთან ბრძოლაში მიაღწიეს, სამწუხაროა, რომ საქართველოში რეცესია გრძელდება. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, რეცესია ჩვენს ქვეყანაში დამთავრდება არა უადრეს მესამე კვარტლისა. უფრო მეტიც, არსებობს შეფასებები, რომლებიც კრიზისის გაღრმავებას გვიწინასწარმეტყველებენ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტური იქნება მთავრობის მოქმედება უახლოეს თვეებში, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში.

ანალიტიკოსების შეშფოთებას კვლავ სუსტი დოლარი იწვევს. ამის მთავარ მიზეზად ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბალ საპროცენტო განაკვეთს ასახელებენ. დაბალი განაკვეთი ამერიკელ ინვესტორებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ან ამერიკაში ნასესხები ფინანსური საშუალებები უცხოეთში განათავსონ და დიდი მოგება მიიღონ. განსაკუთრებით მომხიბლავად ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ფასიანი ქაღალდები გამოიყურება. მათ შორისაა ჩინეთი და ბრაზილია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული აქციები წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა, მათი ზრდის ტემპი ზოგიერთი სხვა ქვეყნის აქციების ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. პირველ რიგში, ეს სწორედ ჩინეთსა და ბრაზილიას ეხება.

წინა კვირას შეჩერდა ნავთობის ფასის ზრდა, რაც წინა კვირების მნიშნელოვანი ზრდის შემდეგ გარკვეულ კორექციად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, არაფერი მიუთითებს, რომ ნავთობზე ფასის ზრდის ტენდენცია საწინააღმდეგოთი შეიძლება შეიცვალოს. გრძელდება ფასის ზრდა ოქროზე, აგრეთვე, ფერად ლითონებზე.

დოუ ჯონსის საშუალო მაჩვენებელი უკვე მეორე კვირას ასრულებს 10 000 პუნქტზე მაღლა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს მაჩვენებელი ახალ დერეფანში შევიდა. თუკი სულ ცოტა ხნის წინათ 10 000 პუნქტი დერეფნის "ჭერი" იყო და ინვესტორებისთვის მისი გადალახვა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერთან იყო დაკავშირებული, ახალ დერეფანში 10 000 პუნქტი ამ დერეფნის "ფსკერია" და შეიძლება ითქვას, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარმა აქციების ახალი ფასები მიიღო. ამერიკის საფონდო ბაზართან ერთად, აქციების ფასები თითქმის მთელ მსოფლიოში იზრდებოდა.

გასული კვირის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კორპორაციული ბიზნესის სამყაროში დაკავშირებული იყო "კრაფთ ფუდსის" (Kraft Foods) მცდელობასთან, ხელში ჩაიგდოს ბრიტანული "კედბერი" (Cadbury). სექტემბერში "კედბერიმ" უკვე უარყო "კრაფთ ფუდსის" 16.7 მილიარდიანი შეთავაზება, რადგან, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასი "კედბერის" ნამდვილ ღირებულებას არ შეესაბამება. ამჯერად "კრაფთ ფუდსი" გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდა და ცდილობს გაახორციელოს ე.წ. "მტრული აქვიზაცია", რაც ნიშნავს კომპანიის შთანთქმას მისი სურვილის წინააღმდეგ. "კრაფთ ფუდსი" სთავაზობს "კედბერის" აქციონერებს ყოველ აქციაში 5 დოლარს და "კრაფთის" 0.26 აქციას, რაც საბოლოოდ "კედბერის" აქციის მიმდინარე ფასს აღემატება. "კედბერის" ხელმძღვანელობა თავის აქციონერებს მოუწოდებს, არ წავიდნენ ამ გარიგებაზე და მიმართავს აგრეთვე სხვა ღონისძიებებს, რათა კომპანიაზე კონტროლის დაკარგვა არ დაუშვას. უკანასკნელ წლებში ეს ერთ-ერთი უმსხვილესი აქვიზიციის მცდელობაა. ანალიტიკოსების აზრით, "კრაფთ ფუდსს" ძალიან გაუჭირდება აქვიზიციის ჩატარება, თუ "კედბერისთან" მოლაპარაკება ვერ მოახერხა.

ევროკავშირის ანტიმონოპოლურმა სამსახურმა ეჭვის ქვეშ დააყენა კორპორაციულ ბიზნესში მეორე დიდი გარიგება, რომელიც "სან მაიკროსისტემს" (Sun Microsystems) და "ორაკლს" (Oracle Corp) ეხებოდა და რომლის ღირებულებაც 7.4 მილიარდი დოლარია. "სან მაიკროსისტემი", რომელსაც ეს გარიგება უაღრესად ესაჭიროება, იმედოვნებს, რომ შეძლებს კიდევ დაარწმუნოს ევროპელი რეგულატორები. გაცილებით სკეპტიკურად არიან განწყობილი ინვესტორები, რაც კომპანიის აქციების ფასზე აისახა.

ამერიკულმა ბანკმა JPMorgan Chase & Co გადაწყვიტა, იპოთეკის სფეროში სამუშაოზე დამატებით 1,200 სპეციალისტი მიიღოს. ბანკის განცხადებით, ახალი სპეციალისტების საჭიროება საკრედიტო ბაზარზე ვითარების ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. კაპიტალიზაციის მიხედვით JPMorgan Chase & Co ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული ბანკია. ბანკმა კრიზისი დიდი დანაკარგების გარეშე გაიარა და ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ამერიკულ ბანკად ითვლება.

"რკინიგზის ტელეკომის" გასხვისების მიზნით აუქციონი ხვალ გაიმართება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ "რკინიგზის ტელეკომის" გასხვისების მიზნით გამოცხადებული აუქციონი ხვალ, 14:00 საათზე გაიმართება. ამ დროისთვის არ სახელდება, ვინ გამოხატა დაინტერესება ობიექტის შეძენით, რომლის 100-პროცენტიანი წილის საწყისი ფასი 14 144 800 აშშ დოლარია. აუქციონის პირობების თანახმად, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლის ვადაში მოახდინოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსება სარკინიგზო ლიანდაგის გასწვრივ, "რკინიგზის ტელეკომისთვის" გადაცემულ 40 სმ-იან ზოლში. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატრებიდან სამ წელიწადში "საქართველო რკინიგზას" საკუთრებაში გადასცეს სარკინიგზო ლიანდაგის გასწვრივ ტელეკომზე გადაცემულ 40 სმ-იან ზოლში ჩადებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთი წყვილი.

გარდა ამისა, "საქართველოს რკინიგზა" იღებს ვალდებულებას, ნასყიდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში არ მოახდინოს სარკინიგზო მაგისტრალისა და განშტოებების გასწვრივ მიწის ფართის განსხვისება და/ან დროებით სარგებლობის გაცემა, გარდა სახელმწიფო აუცილებლობიდან გამომდინარე.

რკინიგზას აქვს უფლება, გამარჯვებულ პრეტენდენტს თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსთხოვოს პროექტის შედეგად გამოთავისუფლებულ მიწაზე ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის მოწყობა. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია. შპს "რკინიგზის ტელეკომი" 2004 წლის აგვისტოში შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ დაარსდა. ტელეკომს აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, რომელიც განთავსებულია საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის ხაზის გასწვრივ და ფარავს ქვეყნის უმეტეს ნაწილს. მას მინიჭებული აქვს ნუმერაციის რესურსის გამოყენების ნებართვაც.

2006 წლის დასაწყისში ხელი მოეწერა საერთაშორისო კონტრაქტს საქართველოში ალტერნატიული გზით (აზერბაიჯანის მხრიდან) ინტერნეტსერვისის მიწოდების შესახებ - TEC, GRT, Delta telecom, IIS. 2007 წელს კომპანიამ ოზურგეთში DSL - ინტერნეტსერვისის მონტაჟი დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

ვადაგასული პესტიციდების შეფუთვა და მათი უსაფრთხოდ განთავსების პროცესი დასრულებულია

ვადაგასული პესტიციდების შეფუთვა და მათი უსაფრთხოდ განთავსების პროცესი დასრულებულია. ბოლო ობიექტი სოფელ ორთაშენში იყო. შხამქიმიკატების ყოფილი საწყობიდან 22 ტონამდე ვადაგასული პესტიციდები საგარეჯოს რაიონის სოფელ ვადიაურში, სპეციალურ შენობაში გადაიტანეს. საწყობი ორთაშენში საცხოვრებელი სახლებისა და სკოლის სიახლოვეს მდებარეობდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს წლების განმავლობაში უქმნიდა. პესტიციდების გადატანის პროცესს გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე პირადად დაესწრო. "ამ ობიექტით პრაქტიკულად დამთავრდა საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდების კონსერვაცია და გატანა. პესტიციდებს ჯერ სპეციალურად ვასაწყობებთ და შემდეგ გადის ქვეყნის გარეთ. აქ იდგა სუნი, საფრთხე ექმნებოდა მოსახლეობას. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია," - განუცხადა ხაჩიძემ ჟურნალისტებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბიუჯეტის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით პარლამენტის შენიშვნები მთავრობამ გაითვალისწინა

ბიუჯეტის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით პარლამენტის შენიშვნები მთავრობამ გაითვალისწინა. ამის შესახებ განცხადება დღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა გააკეთა. "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" პროექტის პირვანდელი ვარიანტის თანახმად, მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცებამდე პარლამენტში ბიუჯეტის პროექტი სამის ნაცვლად, ორჯერ უნდა წარედგინა, რაზედაც პარლამენტის წევრებმა პროტესტი გამოთქვეს. გათვალისწინებული იქნა ასევე ბიუჯეტის დამტკიცების ვადები. მთავრობის ინიციატივის თანახმად, ბიუჯეტის დამტკიცება 1 დეკემბრამდე უნდა მომხდარიყო.

როგორც პეტრიაშვილმა საბიუჯეტო კოდექსის მეორე მოსმენისას განაცხადა, მთავრობამ პარლამენტის შენიშვნები ორივე შემთხვევაში გაითვალისწინა. მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტის პროექტს დამტკიცებამდე კვლავ სამჯერ წარადგენს და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ცოლ-ქმრის მკვლელობის რამდენიმე ვერსია

მიცკევიჩის N18-ში მომხდარი მკვლელობა ჯერ-ჯერობით ისევ გაუხსნელია. 67 წლის თამაზ ნინუა საკუთარ ბინაში მეუღლესთან, 64 წლის ეთერ ნინუასთან ერთად მოკლული იპოვეს. ორივე მათგანს ცეცხლსასროლი იარაღი შუბლში ჰქონდა ნასროლი. ცხედრები საძინებელ ოთახში აღმოაჩინეს. ეთერ ნინუას ცხედარი საწოლში ესვენა, თამაზ ნინუა კი - სავარძელში. თამაზ ნინუა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე მუშაუბდა. მაშინდელი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დრობითი მთავრობის დროს, დაახლოებით ორი თვის განმავლობაში იგი კვლავ ასრულებდა უშიშროების მინისტრის მოვალეობას. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს კი ნინუა უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო.

უშიშროების ყოფილი მინისტრის თამაზ ნინუას მკვლელობასთან დაკაბვშირებით, რამდენიმე ვერიაა გამოკვეთილი. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ადამიანი, რომელიც ნინუების ბინაში შევიდა, სავარაუდოდ, ნაცნობი იყო და მას კარი თავად თამაზ ნინუამ გაუღო.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, მკვლელობა პირად ანგარიშსწორებას უკავშირდება. კერძოდ, საუბარია ნინუას ძალოვან უწყებებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობასა და მის ბოლოდროინდელ ბიზნესსაქმიანობაზე. მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად განიხილება რუსული სპეცსამსახურები, რომლებსაც, შესაძლოა ნინუა, როგორც ინფორმაციის მატარებელი მოეკლათ. ზოგიერთი წყარო მომხდარ მკვლელობას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიასაც უკავშირებს. მართალია, მკვლელობის ვერსიების არსებობას შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არც ერთი მათგანი არ ხმაურდება. სამინისტროში არც იმას ამობობენ, ოფიციალურ ვერსიებში შედის თუ არა ამ დრომდე არაოფიციალურად დასახელებული ვერსიები.

ჯერჯერობით უცნობია შემთხვევის ადგილთან არის თუ არა დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა. მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგონიათ. როგორც ისინი აცხადებენ, მომხდარის შესახებ გაიგეს ტელევიზიით და პოლიციელების მიცკევიჩზე გამოჩენის შემდეგ.

საკუთარი ინფორმაცია

ახალი ინიციატივა საქართველოში დაურეგისტრირებელი ბავშვების პრობლემაზე

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ უცხოეთში დაბადებული და საქართველოში დაურეგისტრირებელი ბავშვების პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივა გაახმაურა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, არასრულწლოვანთა რეგისტრაციის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები უცხო ქვეყანაში გაცემულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეთა შვილები, რომლებიც დაბადებულნი არიან საზღვარგარეთ და აქვთ უცხო ქვეყნის სტრუქტურების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც არ არის დამოწმებული აპოსტილის წესით ან საკონსულო ლეგალიზაცია არ გაუვლია, ვერ ახერხებენ საქართველოში რეგისტრაციის გავლას.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო გამოდის ინიციატივით, რომელიც მოქალაქეთა ამ კონტიგენტის დახმარებას ისახავს მიზნად. პრობლემური დოკუმენტაციის მქონე მოქალაქეებმა უნდა მიმართონ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს. მონაცემების შეგროვება ერთი თვის განმავლობაში იწარმოებს.

"დავიწყებთ ორმხრივ მოლაპარაკებებს იმ ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, საიდანაც ეს პრობლემური დოკუმენტები მოდის. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში არის დოკუმენტების ლეგალიზების სპეციალური პროცედურა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა არ გაიარეს თავის დროზე და პრობლემების ამიტომ შეიქმნა," - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში მოსწავლეთა რეგისტრაცია ტერიტორიულ სამსახურებში უფასოდ ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჟამინდელი მონაცემებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში 581 177 ბავშვი დარეგისტრირდა. აქედან პირველკლასელი მოსწავლე 31 979. პირადობის მოწმობა 231 214-მა მოსწავლემ აიღო.

14 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, აიღოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მოწმობის მიღება მეათე სამუშაო დღეს უფასოა, პირადობის მოწმობის აღება, სურვილისამებრ, შეუძლია 14 წლამდე ასაკის მოქალაქესაც.

ინტერპრესნიუსი

კალაშოვს და მის ადვოკატს ესპანეთში ასამართლებენ

პირველი გვერდიდან

ერთი კვირის წინ კი ესპანეთის სასამართლომ "მაფიის ადვოკატის" სახელით ცნობილი ალექსანდრ გოფშტეინის დაპატიმრების სანქცია ხელახლა გასაცა და ის კვლავ წარდგება მართლმსაჯულების წინაშე.

ესპანეთის პროკურატურა გოფშტეინისთვის 87 თვით თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმის სახით 500 ათასი ევროს დაკისრებას მოითხოვს.

ესპანელი გამომძიებლები ირწმუნებიან, რომ რუსი ადვოკატი არა მარტო იურიდიულ დახმარებას უწევდა ესპანეთში მოღვაწე მაფიოზურ დაჯგუფებას, არამედ ამ დაჯგუფების სრულუფლებიანი წევრიც იყო.

შაქრო კალაშოვი

ალექსანდრ გოფშტეინი

"შაქრო კალაშოვმა იურისტ ალექსანდრ გოფშტეინის თანამონაწილეობით, მოახერხრა ესპანეთში ჩამოეყალიბებინა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც თავისი სიძლიერით, არაფრით ჩამოუვარდება ცნობილ იტალიურ მაფიოზურ დაჯგუფებებს. ალექსანდრ გოფშტეინი ციხეში მყოფ "გენერალს", შაქრო კალაშოვსა და რუსული მაფიის წარმომადგენლებს შორის კურიერის როლსაც ასრულებდა. მას რუსეთიდან ესპანეთში სისტემატურად გადაჰქონდა დიდი რაოდენობის არალეგალური ფული," - აცხადებენ ესპანელი გამომძიებლები.

თვის დროზე, ალექსანდრ გოფშტეინმა ხმაურიანი სასამართლო პროცესებით მოიპოვა სახელი. ამ გახმაურებულ საქმეებს შორის იყო ცოტა ხნის წინ მოკლული ვიაჩესლავ ივანკოვის, იგივე "იაპონჩიკის" საქმეც.

რაც შეეხება ე.წ. კანონიერ ქურდს შაქარო კალაშოვს, იმ შემთხვევაში, თუკი ესპანეთის სასამართლო წარდგენილ ბრალდებებს დაუმტკიცებს, მას 12-წლიანი პატიმრობა და სოლიდური ჯარიმა დაეკისრება.

კალაშოვი საქართველოში რამდენიმე წლის წინ დაუსწრებლად გაასამართლეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, ქართული და რუსული მაფიის ლიდერი დამნაშავედ ცნო და მას 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა. შაქრო კალაშოვი საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებულად 2006 წლის 15 სექტემბერს გამოაცხადა. ქართველმა სამართალდამცველებმა "კანონიერი ქურდი" საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაადანაშაულეს - 223-ე პრომა მუხლის II ნაწილით - "კანონიერი ქურდობა" და 144-ე მუხლის "ა", "ე" და "ვ" პუნქტებით - მძევლად ხელში ჩაგდება, ანგარებით და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის სარჩელი "კრიმინალური ავტორიტეტისთვის" უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, შაქრო კალაშოვს წყნეთში მდებარე მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები ჩამოერთვა.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილი შაქრო კალაშოვი ინტერპოლმა დუბაიში გამართულ "კანონიერ ქურდთა" შეკრებაზე დააკავა. შეკრებაზე იმყოფებოდნენ რუსეთის "კრიმინალური სამყაროს" სხვა წარმომადგენლებიც. მასზე ესპანეთის პოლიციას მაშინ უკვე საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვი ეჭვმიტანილი იყო ესპანეთში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულის გათეთრებაზე მუშაობდა. ავტორიტეტული კრიმინალი, დუბაიდან ესპანეთში სამხედრო თვითმფრინავით გადაიყვანეს.

"ესპანეთში მოქმედ საერთაშორისო მაფიის წარმომადგენლებს, კალაშოვის დაპატიმრების შემდეგ დაუსჯელობის განცდა გაუქრათ," - ასე შეაფასეს ესპანელმა სამართალდამცველებმა "ქურდული სამყაროს გენერალდ" წოდებული შაქრო კალაშოვის დაპატიმრება.

გამოხმაურება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შენიშვნები გაზეთ "24 საათში" დაბეჭდილ სტატიასთან ("სასამართლო გადაწყვეტილებები წლების მანძილზე აღუსრულებელია") დაკავშირებით.

მინდა გაცნობოთ, რომ თქვენს მიერ დაწერილ სტატიაში გაპარულია რამდენიმე უზუსტობა. კერძოდ: ვახდენ ციტირებას თქვენი სტატიიდან: "აღსანიშნავია, რომ აღსრულებული საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებით არის აღსრულებული"; მინდა მოგახსენოთ, რომ საქმეები, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში შემოდის, უმეტეს შემთხვევაში, იძულებით აღსრულებას ექვემდებარება; 2008 წლის 15 ივლისს გამოიცა კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონის თანახმად, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის III თავს ეწოდა "აღმასრულებელი". აქედან გამომდინარე, თქვენს მიერ სტატიაში მოყვანილ ტერმინს- "სასამართლო აღმასრულებელს" 2008 წლის 1 ოქტომბერს შესული ცვლილებების შემდეგ კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" არ იცნობს. თქვენს სტატიაში მოყვანილია სახალხო დამცველის რეკომენდაცია. კერძოდ: "საქართველოს პარმლამენტმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოახდინონ საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა, კერძოდ: "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში დადგინდეს მექანიზმი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმსარულებელს მისცემს საშუალებას გაატაროს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევაში როდესაც მოვალე მხარეა სახელმწიფო ორგანო ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაცია". მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი კანონი, ისევე როგორც სხვა ნორმატიული აქტები ცოცხალი მექანიზმია, რომელიც მუდმივ სრულყოფას და დახვეწას საჭიროებს, ხოლო აღმასრულებელი თავის საქმიანობაში მაქსიმალურად ეფექტურია. აქვე მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1482 სააღსრულებო წარმოება. აღნიშნული 1482 სააღსრულებო წარმოებიდან აღსრულდა 52, დამთავრდა- 18, ხოლო სულ დასრულდა 70 სააღსრულებო წარმოება (და არა 18 როგორც ეს თქვენ გიწერიათ);მინდა გითხრათ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროდან კანონის თანახმად გამოითხოვა მისთვის საინტერესო ინფორმაცია, რაც მათ სრულად მიეწოდათ. მოთხოვნის ერთ-ერთი თავი შეიცავდა შემდეგ შინაარსს: (ვახდენ ციტირებას) "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენი გადაწყვეტილება იყო სააღსრულებო დეპარტამენტის წარმოებაში და რამდენი არის დღეისთვის აღსრულებული" აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე შემდეგი პასუხი გასცა: "გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ან ბიუჯეტიდან აღსასრულებელ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში 2009 წლის იანვრის თვიდან, ამავე წლის აგვისტოს თვის ჩათვლით აღსასრულებლად არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება". თქვენ კი სტატიის ერთ-ერთ ნაწილში გიწერიათ, რომ (ვახდენ ციტირებას): "სახალხო დამცველის განცხადებით, აღსრულებული არ ყოფილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება";

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
კობა ალხაზაშვილი

რატომ ცოცხლობს ლათინურ ამერიკაში პოპულიზმი?

მსოფლიომ ოცი წლის წინ ბერლინის კედლის დანგრევა იხილა. მარქსისტული და სოციალისტური რევოლუციები უკვე გასული საუკუნის ნაწილად იქცა, ამერიკისა და რუსეთის ბიპოლარული მმართველობა მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე აღარ დომინირებს. მაგრამ რატომ ხდება, რომ ლათინურ ამერიკაში პოპულისტურად მოაზროვნე ლიდერები წარსულის წარუმატებელი დოქტრინის აღორძინებასა და განხორციელებას ასე დაჟინებით ცდილობენ? რატომ ცდილობენ ისინი ძველებურად მარქსისტული შეხედულებების გატარებას, "ცივი ომის" მენტალიტეტის დაცვას და კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილის სამხრეთისგან დაშორებას (იგულისხმება კოლუმბიის დაპირისპირება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაწილთან) და რატომ არის მცდელობა, რომ მდიდრებსა და ღარიბებს შორის კლასობრივი დაპირისპირება არსებობდეს? რა ემართება ლათინოამერიკულ დემოკრატიას, რომელსაც არსებობის საშუალებას არ აძლევენ რეჟიმები, რომლებიც რესპუბლიკურ წყობას ანგრევენ და თავისუფალი პიროვნებებისთვის ხმის ჩახშობას ცდილობენ?

უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლებისთვის მთავარია მოქალაქეთა უფლებების დაცვა, თუმცა მინიმალური დემოკრატიისთვისაც კი არ არის საკმარისი მხოლოდ არჩევნების ჩატარება და მოქალაქეებისთვის კოლექტიურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლების მიცემა. იმისთვის, რომ დემოკრატია მართლაც არსებობდეს, სულ მცირე, აუცილებელია, რომ ადამიანებს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ, მართლაც ჰქონდეთ თავიანთი აზრის ხმამაღლა დაფიქსირებს უფლება და ამასთან არსებობდეს პირობები, როდესაც იქნება საშუალება, რომ კანონისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვა მოითხოვო.

პოპულიზმი კი სწორედ ამ პრინციპებსა და უფლებებს უარყოფს და ამოფარებულია დამახინჯებულ დემოკრატიას, რომელიც პიროვნების თავისუფლებას არ ითვალისწინებს. ლათინური ამერიკა ამის არაორაზროვანი მაგალითია: ეკონომიკური და პოლიტიკური პოპულიზმი ყველაზე აშკარა წარუმატებლობებსაც კი უარყოფს. კუთხეში მიმწყვდეული პრესა, დამოკიდებული სასამართლოები, განდევნილი მოწინააღმდეგეები, კონტროლირებადი ეკონომიკა, მმართველ ძალაზე მორგებული კანონდებლობა, იდეოლოგიური განათლება და შეზღუდული თავისუფლება - ეს ის შტრიხებია, რომლებიც "XXI საუკუნის სოციალიზმით" დაინტერესებული მთავრობების გავლენის ქვეშ მყოფ ლათინურ ამერიკას ყველაზე მეტად ახასიათებს. უფრო შთამბეჭდავი კი ის არის, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს აყალიბებენ, მათ ენდობიან, ხოლო მომხრეები მზად არიან ახალი იდეები მიიღონ, რომლებიც თითქოსდა უკვე მოძველებული ჩანდა.

არსებობენ ქარიზმატული მთავრობები, ისინი იყენებენ პირად ძალაუფლებას, რომლის ლეგიტიმურობის საფუძველშიც დევს არა ლიდერის დამსახურებები, არამედ პოლიტიკა - ძალიან მარტივად და მომხიბვლელად წარმოჩინდეს თეორია, რომელიც შემდეგ პრაქტიკაში არ ხორციელდება და რეალურ მოთხოვნებს არ შეესაბამება. ლაპარაკია პრინციპზე - თქვი ერთი, გააკეთე მეორე. ამ დროს შეიძლება გავიხსენოთ ჰიტლერი, მუსოლინი, ვარგასი, სტალინი, ფიდელ კასტრო, პერონი, ჩავესი, მაო ან, ბოლოს და ბოლოს, ბევრი სხვა ცნობილი ადამიანი, რომლებიც, ურთიერთობის განსაკუთრებული უნარის მეშვეობით, შეიძლება ითქვას, მასების ჰიპნოზირებას ახერხებდნენ. შედეგად კი ირგვლივ ქაოსი სუფევდა.

ლათინურ ამერიკაში ამჟამად ფსონი დემოკრატიის მომავალია. რა არის დემოკრატიული მმართველობა, თუ არა თამაშის წესების მკაცრად დაცვა? სამწუხაროდ, დემოკრატიის პრინციპებით თავად დემოკრატიის საზიანოდ მანიპულირებენ. ალბათ ზოგისთვის რთულად გასაგებია, რომ საზოგადოების ინტერესები ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხში უნდა დომინირებდეს და ადამიანის უფლებები არასდროს უნდა ირღვეოდეს

თუმცა არავის ეპარება ეჭვი, რომ ვენესუელას მერკოსურში შესვლა პოლკოვნიკ ჩავესის ავტორიტარული პროექტების რატიფიკაციას ნიშნავს. ნუთუ ლათინური ამერიკის სტაბილურობისთვის ისინი საფრთხეს მხოლოდ მილიციის შექმნის, ფიდელ კასტროს დიქტატურასთან კავშირისა და მეზობელ ქვეყნებში რადიკალური დაჯგუფების დაფინანსებისა და მხარდაჭერის გამო წარმოადგენენ?

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ჩნდება კითხვები: რატომ არის ასე რთული იმის გაგება, რომ ყველა თანამედროვე პოლიტიკური და უფლებების დამცველი ინსტიტუტის მიზანია მთავრობის ჩარევისგან პიროვნების თვისუფლების დაცვა? ასეთი რთული გასაგებია, რომ უცხოურ კომპანიებთან ისე მოქცევა, როგორც მტრებთან, ადგილობრივი მეწარმეებისადმი უნდობლობა და დივერსიფიცირებული ექსპორტის არარსებობა ლათინური ამერიკის მოსახლეობის კვლავ ცუდ პირობებში ცხოვრებას ნიშნავს?

ოპტიმიზმის საფუძველს ერთი რამ იძლევა: შესაძლოა, ბერლინის კედლისა და "ცივი ომის" შემდგომ თაობას ცვლილებისთვის ბრძოლა არ სურდეს, არ სურდეს სტუდენტური რევოლუციებისა და ანარქიის კიდევ ერთხელ დაწყება, მსოფლიოს შეცვლა, მორალის მსხვრევა და დღეს არსებული დიპლომატიის შეცვლა, რადგან მათ შეუძლიათ თავისუფალ გაზეთებში თავისუფლად განიხილონ მათთვის აქტუალური პრობლემატიკა. მათი აზრით, ამჟამინდელი დოგმატიზმი მხოლოდ და მხოლოდ შიდა წინააღმდეგობების შედეგი და სხვადასხვა შეუთავსებელი დოქტრინების ნაზავია. მაგრამ არსებობს კი იდეალისტურ ახალგაზრდობაში ვინმე, ვისაც სურვილი ექნება, ნებაყოფლობით მოხვდეს ყოვლისშემძლე მთავრობის მფლობელობაში და იქცეს პატარა ჭანჭიკად უშველებელ მანქანაში, რომელიც ერთი ყოვლისშემძლე ორგანიზმის მიერ შემუშავებული გეგმის ხორცშესხმაა და ეს ორგანიზმივე მართავს?

"გლობოს" (ბრაზილია) მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა

11 სექტემბრის ტერაქტში ბრალდებულების სასამართლო პროცესი ნიუ-იორკში გაიმართება

როგორც BBC იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა გააპროტესტეს ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებული პირების სასამართლო პროცესის ნიუ-იორკში გამართვის თაობაზე.

სენატში რესპუბლიკელების ლიდერის მიჩ მაკონელის აზრით, ტერაქტში ბრალდებულების გუანტანამოს ციხიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადმოყვანა ამერიკელებისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული თავდასხმის ორგანიზატორები ხალიდ შეიხ მოჰამედი და კიდევ 4 ბრალდებული, ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის ერიკ ჰოლდერის განცხადებით, სასამართლოს წინაშე, სწორედ ნიუ-იორკში წარდგებიან.

როგორც გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, სასამართლო სამართლიანი იქნება. თუმცა, დასძინა, რომ თუ ბრალდებულებს დამნაშავეებად აღიარებენ, ამერიკის მთავრობა მათთვის სიკვდილით დასჯის განაჩენს მოითხოვს.

"განზრახული მაქვს, ბრალდების მხარეს მივუთითო, რომ თითოეული მათგანისთვის, ვინც 11 ოქტომბრის სავარაუდო ორგანიზატორად ითვლება, სასიკვდილო განაჩენი მოითხოვოს," - განაცხადა ჰოლდერმა.

სასამართლო პროცესი 11 სექტემბერს მომხდარი ტრაგედიის ადგილიდან რამდენიმე კვარტლის დაშორებით გაიმართება. გარდა ამისა, სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ ბრალdებულები სამხედრო ტრიბუნალის წინაშეც უნდა წარდგნენ.

ტერაქტში ბრალდებულების ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გადაყვანას ბევრი იმით ხსნის, რომ ეს ბარაკ ობამას გეგმის - გუანტანამოს ციხის დასახურად გადადგმული პირველი ნაბიჯია.

დიდი ბრიტანეთი ერაყელების ბრალდებების გამოძიებას იწყებს

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ბრიტანელი სამხედროების მხიდან ერაყელი პატიმრების მიმართ სასტიკად მოქცევის ახლ ფაქტებს იძიებს. ყოფილი პატიმრების ადვოკატები მოითხოვენ ყველა მსგავსი ფაქტის სრულად გამოძიებას, რადგან, როგორც ადვოკატები ამტკიცებენ, ბრიტანელი ჯარისკაცები ერაყის ომის დროს სასტიკად ექცეოდნენ დაკავებულებს.

ბრიტანეთში უკვე მიმდინარეობს გამოძიება ერაყელი ბაჰი მუსას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. იგი ციხეში მძიმე ტრავმებისგან გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, მისი გარდაცვალების მიზეზი ბრიტანელი ჯარისკაცების სასტიკი მოპყრობა გახდა.

როგორც გაზეთი "Independent" წერს, ბრიტანელი ჯარისკაცების მხრიდან, დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოქცევის 33 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.

ერთი ყოფილი პატიმარი ამტკიცებს, რომ ორმა ბრიტანელმა იგი გააუპატიურა. სხვები ირწმუნებიან, რომ მათ აშიშვლებდნენ, დასცინოდნენ და ფოტოებს უღებდნენ. ყოფილი პატიმრების მტკიცებით, მათ სასტიკად სცემდნენ და სხეულზე ელექტროშიკის ხელკეტს ადებდნენ.

ადვოკატმა ფილ შინერმა გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წერილი გადასცა. როგორც გაზეთი "Independent" წერს, წერილი ბრიტანელი სამხედროების მხრიდან ერაყელებზე სექსუალურ ძალადობას ეხება.

"იმ 120 ათასი ბრიტანელი სამხედრო პირიდან, რომლებიც ერაყში მსახურებდნენ, დიდი უმრავლესობა სანიმუშოდ იქცეოდა. მათ მართლაც პროფესიონალიზმი, პატიოსნება და საქმისადმი თავდადება გამოაჩინეს. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სამხედრო პირები მათთვის შეუფერებლად იქცეოდნენ. ბრიტანეთის სამხედრო პირების ძალიან მცირე ნაწილი არ პასუხობდა ჩვენს მაღალ სტანდარტებს," - აცხადებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

თამაზ ნინუას ხსოვნას

ბატონო თამაზ მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობელი მიწა. ღირსეული, ძლიერი და საიმედო ადამიანი იყავით ყოველთვის. უღირსის ხელმა მოგისწრაფათ სიცოცხლე. ის ვერასდროს მიხვდება ვის ესროლა ტყვია, სამაგიეროდ თქვენმა ახლობლებმა ვიცით და ამიტომ უსაზღვროა ჩვენი მწუხარება. თქვენი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ყოველი ჩვენგანის გულში.

უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯგუფელების და მათი ოჯახების სახელით ნინო დურგლიშვილი.

თურქეთი ქურთების საკითხის ახლებურად გააზრებას იწყებს

თურქეთის მთავრობამ პარლამენტში ოფიციალურად წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომლის მიზანია ბოლო მოუღოს კონფლიქტს ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქურთია. რეფორმების პაკეტი შინაგან საქმეთა მინისტრმა ბეშირ ატალაიმ წარადგინა. ოფიციალური ანკარა საკუთარი ქვეყნის პარლამენტს სთავაზობს ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენებაზე შეზღუდვების მოხსნას, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში სამხედრო ბლოკ-პოსტების რაოდენობის შემცირებას და წამების შესახებ ბრალდებების გამოსაძიებლად სპეციალური კომისიის შექმნას. "ჩვენ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ყველას მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება იყოს," - განაცხადა ბეშირ ატალაიმ და დასძინა, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება თურქი ხალხის მსოფლმხედველობაში კარდინალური ცვლილებები. მიუხედავად ამისა, თვითონ ატალაის ნახევარსაათიანი გამოსვლის დროს არ უხსენებია, რომ საქმე ქურთებს ეხებოდათ. ასევე არაფერი თქმულა ქურთისტანის მუშათა პარტიის მებრძოლების შესაძლო ამნისტიაზე.

მთავრობას პარლამენტში უმრავლესობა უმაგრებს ზურგს, მაგრამ კანონპროექტმა ცხარე დებატები გამოიწვია. ოპოზიცია მას მტრულად შეხვდა. თურქი ნაციონალისტების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს ცვლილებები "საფრთხის ქვეშ აყენებს თურქეთის ერთიანობას" და "მთავრობას არ ჰყოფნის გამბედაობა ტერორისტებთან საბრძოლველად".

დამოუკიდებლობისათვის ქურთების შეიარაღებული ბრძოლის მხოლოდ 25 წლის განმავლობაში 40 ათასი ადამიანი დაიღუპა.

პუტინმა "სამხრეთ ნაკადი" ყველასთან შეათანხმა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთმა უკვე ყველა მონაწილე ქვეყანასთან მოაწერა ხელი გაზსადენ "სამხრეთ ნაკადის" შეთანხმებას. ამ რგოლში ბოლო სახელმწიფო გახდა სლოვენია, რომელთანაც რუსეთმა შაბათს მოაწერა ხელი ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებას. პუტინის აზრით, ეს დიდი საერთოევროპული პროექტია. იგი გაივლის რუსეთისა და რიგი ევროპული სახელმწიფოების ტერიტორიებს, აგრეთვე შავ და ადრიატიკის ზღვებს. ევროპის გაზმომარაგების პროექტ "ნაბუკოს" კონკურენტ "სამხრეთ ნაკადის" ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება 2010 წელს უნდა დასრულდეს. გაზსადენი, სავარაუდოდ, 8-9 მილიარდი დოლარი დაჯდება და წინასწარი გამოთვლებით წელიწადში 63 მილიარდ ბუნებრივ აირს გაატარებს. საინტერესოა, რომ რიგი ქვეყნები, პირველ რიგში - თურქეთი, ზემოთ ნახსენებ ორივე პროექტში მონაწილეობენ.

"ასეანი" მიანმას (ბირმას) თავისუფალი არჩევნებისკენ მოუწოდებს

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 10 ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხვედრაზე სინგაპურში მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ბირმას თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისაკენ მოუწოდეს. ამ ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებას არჩევნების ჩატარება გაისად აქვს დაგეგმილი. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ყველას უნდა მიეცეს, არჩევნები უნდა იყოს გამჭვირვალე და საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობას უნდა იმსახურებდეს. თუმცა განცხადებაში კონკრეტულად არ აღუნიშნავთ, რომ უნდა გათავისუფლდეს ბირმის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი აუნ სან სუ ჩჟი, რომელიც რამდენიმე წელიწადია სამხედრო ხელისუფლებას შინაპატიმრობაში ჰყავს.

გუანტანამოს პატიმრები შეიძლება ილინოისის ციხეში გადაიყვანონ

თეთრი სახლის ანონიმი წყაროს ინფორმაციით, ამერიკის ადმინისტრაციამ შეიძლება გამოისყიდოს ილინოისის შტატში, ქალაქ ტომპსონში მდებარე ციხე და მასში კუბაზე, გუანტანამოს სამხედრო ბანაკში მყოფი პატიმრების ნაწილი განათავსოს. ლაპარაკია იმ პატიმრებზე, რომლებიც ამერიკის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი კაცის გადაყვანა იგეგმება. ციხე, უფრო სწორად მკაცრი რეჟიმის გამოსასწორებელი დაწესებულება, 2001 წელს შტატის ფულით აშენდა და სერიოზულად არც ამოქმედებულა. მასში პროექტით 1600 კამერაა გათვალისწინებული და დღეს იქ მხოლოდ 200 დამნაშავე ზის. ილინოისის შტატის გუბერნატორმა პეტ ქუინმაც განაცხადა, რომ ტომპსონის ციხეს შეიძლება მალე ახალი დანიშნულება მიეცეს და აღნიშნულ თემაზე ამ დღეებში პრესკონფერენციის გამართვასაც აპირებს.

ტომპსონი არ არის ერთადერთი ქალაქი ამერიკაში, რომელიც თავის ტერიტორიაზე სიამოვნებით მიიღებს გუანტანამოს პატიმრებს. შტატების - კოლორადოს და მონტანას ხელისუფლებებმაც განაცხადეს, რომ ახალი ციხეების გახსნა შტატში სამუშაო ადგილებს შექმნის.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ბარაკ ობამას აზიური ტურნე

მარიკა იაშვილი

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების სამიტის დასრულების შემდეგ, სინგაპურში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა. საათნახევრიანი შეხვედრის განმავლობაში ბარაკ ობამამ და დმიტრი მედვედევმა ირანის ბირთვული პროგრამა და ავღანეთში არსებული მდგომარეობა განიხილეს.

დმიტრი მედვედევმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი და ამერიკა სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებას 2009 წლის დეკემბრისთვის შეძლებენ. ირანის ბირთვულ პროგრამაზე საუბრისას ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, ირანს დრო მისცეს მოსაფიქრებლად. ირანმა უნდა გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა თავისი ბირთვული რეაქტორებისთვის ურანის უცხოეთში გამდიდრების შესახებ გაერო-ს გეგმას, მაგრამ ამის მოსაფიქრებლად დრო უსასრულოდ ვერ გაიწელება.

აღსანიშნავია, რომ ირანსა და თურქეთს შორის ბოლო პერიოდში დამთბარმა ურთიერთობამ მთავარი ირანული პრობლემის მოგვარების ახალი შესაძლებლობები გააჩინა. მსოფლიო საზოგადოება ცდილობს, ირანი დაითანხმოს, რათა ამ უკანასკნელმა თავის განკარგულებაში არსებული ურანი გადასამუშავებლად საზღვარგარეთ გაიტანოს, თუმცა ამ დრომდე სასურველი შედეგის მიღწევა ვერ მოხერხდა. ოფიციალური თეირანი ურანის რუსეთში ან საფრანგეთში გატანაზე უარს აცხადებს.

ამავე დროს, თურქეთი დიდი ხანია ამაყობს, რომ მომავალში რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცევა და შესაძლოა დასავლეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის მთავარი შუამავალი გახდეს. ამ ბოლო დროს კი გაჩნდა მოსაზრება, რომ თურქეთს შეუძლია, ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ ოფიციალურ თეირანსა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოიყვანოს. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა და თურქეთს შორის მოლაპარაკება გაიმართა, რომელიც ირანული ურანის თურქეთის ტერიტორიაზე შენახვას ეხებოდა. მოლაპარაკების ჩატარება ორივე მხარემ დაადასტურა. ამგვარად, თუ თეირანი წინააღმდეგი იყო, რომ თავისი ნედლეული რუსეთის ან რომელიმე ევროპული ქვეყნისთვის გადაეცა, ახლა მეორე ისლამური სახელმწიფო - თურქეთი მისთვის მისაღები კანდიდატურა უნდა იყოს.

თურქეთი დასავლეთისთვისაც მისაღები კანდიდატურაა, რამდენადაც მას თავისი ბირთვული პროგრამა არ გააჩნია და ამ ვითარების შეცვლის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. თუკი ირანი ამ წინადადებას დათანხმდება, თურქეთი სულ მოკლე დროში შეძლებს გამდიდრებული ურანისთვის შესაფერისი საცავის აშენებას და იქ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების დაშვებას. ამით კი დაამტკიცებს, რომ თავისი პოლიტიკის ერთგული რჩება, რომელიც მეზობლებთან უპრობლემო ურთიერთობების შენარჩუნებას გულისხმობს. თან ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ მცდარია სკეპტიკოსების შეხედულება, თითქოს თურქეთის მიერ აღმოსავლეთთან კარგი ურთიერთობების დამყარება დასავლეთს აზიანებს.

თუმცა ჯერჯერობით ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდები და სამომავლო გეგმებია. ირანთან მოლაპარაკებების ტემპებით კი რუსი პრეზიდენტიც უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ თუ ისლამურ სახელმწიფოსთან შეთანხმება ვერ მოხერხდება, რუსეთსა და ამერიკას შეუძლიათ, "სხვა ზომებს" მიმართონ.

რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ბარაკ ობამა ჩინეთში გაემგზავრა. ამ ქვეყანასთან აშშ-ს ამ ეტაპზე ძალზე დაძაბული სავაჭრო ურთიერთობები აქვს.

ექსპერტების განცხადებით, ხუ ძინტაოსა და ობამას მოლაპარაკება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას გახდის შესაძლებელს. კონკრეტულად კი გადაწყდება ვაჭრობის სფეროში სადავო საკითხები და განისაზღვრება თანამშრომლობის სფეროები, მაგალითად როგორიც არის გარემოს დაცვის ამერიკული ტექნოლოგიების გადატანა ჩინეთში.

ჯერ კიდევ თავისი ერთკვირიანი აზიური ტურნეს დაწყისში, იაპონიაში ყოფნის დროს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ძლიერი ჩინეთის როლის ზრდას მსოფლიოში და ამ წინსვლის რაიმე სახით შეფერხებას არ აპირებს. გარდა ამისა, ობამამ აღნიშნა, რომ პეკინთან ვაშინგტონის წარმატებული თანამშრომლობა რეგიონში ამერიკის სხვა პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებას არ ნიშნავს. ბარაკ ობამამ თავს ამერიკის პირველი "წყნაროკეანელი" პრეზიდენტი უწოდა და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს ამ რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად.

ამერიკის წარმომადგენელმა ვაჭრობის საკითხებში რონ კირკმა, რომელიც აგრეთვე ესწრება სამიტს, განაცხადა, რომ ამერიკული დელეგაცია ვაჭრობასა და ინვესტიციებზე შეზღუდვების მოხსნას და საერთაშორისო ვაჭრობის ღია სისტემის ჩამოყალიბებას უჭერს მხარს. სინგაპურში მიმდინარე სამიტზე განხილვის კიდევ ერთი მთავარი თემა იყო კლიმატური ცვლილებები. ამ საკითხზე კოპენჰაგენის სამიტის წინ ვერანაირ შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ.

ორდღიანი სამიტის შემდეგ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ დანიის შეხვედრაზე "სერიოზულ შედეგებს" მიაღწევენ.

სამიტის მონაწილეებმა, რომელთა შორისაც ამერიკის, ჩინეთისა და რუსეთის პრეზიდენტებიც იყვნენ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე მძიმე კრიზისის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ახალი სტრატეგიის რეალიზაციისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. ლიდერები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ გლობალური ვაჭრობის საკითხებზე მოლაპარაკებები 2010 წელს დასრულდება. ყოველწლიური ორდღიანი სამიტის შემდეგ შემუშავებულ ერთობლივ განცხადებაში საუბარია ღია ბაზრების მხარდაჭერაზე, მსოფლიო ვაჭრობაში ყოველგვარ პროტექციონიზმზე უარის თქმასა და ინვესტიციებზე.

სამიტის მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ეკონომიკის სტიმულირების გეგმის განხორციელება იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ წარმოების ზრდა არ დაიწყება. რაც შეეხება კლიმატის ცვლილებას, ლიდერებმა ამ სფეროში კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმება ვერ შეძლეს.

თუმცა რეგიონის მთავარი ქვეყნების ხელმძღვანელები, მათ შორის ამერიკის, რუსეთისა და აშშ-ს ლიდერებიც მიიჩნევენ, რომ კოპენჰაგენის სამიტით უნდა დაიწყოს ის გზა, რომელიც მსოფლიოს გამონაბოლქვი გაზების გამოყოფის შემცირებამდე მიიყვანს. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმმა, რომელშიც 21 ქვეყანა მონაწილეობს, გადაწყვიტა, ჯერჯერობით უარი თქვას თბური გაზების გამოყოფის განახევრებაზე 2050 წლამდე, როგორც ერთობლივი განცხადების პროექტში იყო გათვალისწინებული. ეს პროცესი, ძირითადად, ჩინეთმა და ინდოეთმა დაამუხრუჭეს, რადგან მიიჩნევენ, რომ ამ მიმართულებით დიდი თანხების გამოყოფა უარყოფითად აისახება მათ ეკონომიკაზე.

CMYK - 9

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

არანაირი შეზღუდვები

აბსოლუტური თავისუფლება თქვენი ბიზნესისათვის

პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში
სტრატეგიული მდებარეობა ფოთის საზღვაო პორტთან
არანაირი მოგების გადასახადი
ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მარტივი პირობები

POTI FIZ

www.rakiageorgia-freezone.com

შპს Rakia Georgia FIZ (ფოთის საბაჟო ოფისი)
საქართველო, ფოთი, 4400, აღმაშენებლის ქ. 47
ტელ: (995 393) 25 25 4/5/6
ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს Rakia Georgia FIZ (წინფრაფაფაფლოება თბილისში)
საქართველო, თბილისი, 0103, თბილისის ქ. 20
ტელ: (995 32) 27 77 33
ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
drskc@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

საკადასახადო უპირატესობების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ-ნ ნატო ფიფიას – n.pipia@rakiageorgia-freezone.com

CMYK - 9

მობრუნებული ტაილერი და გაბრიყვებული ავსტრალიელები

იგი პოპი 40 წლის კომპოზიციების გამოშვებას გეგმავს

"24 საათში" ნახავდით სტატიას უკანასკნელი პერიოდის ყველაზე ხმაურიანი მუსიკალური სკანდალის შესახებ - როგორ დატოვა "აეროსმიტი" სტივენ ტაილერმა. გაზეთის იმ ნომრის გამოსვლის დღეს კი გაირკვა, რომ თურმე ტაილერი ისევ შეურიგდა ძველ მეგობრებს და მეტიც, პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს სოლო კარიერის დაწყებას აპირებს, ტყუილი უწოდა.

მეტი დამაჯერებლობისთვის 10 ნოემბერს ტაილერი და ჯო პერი ერთ-ერთ შოუზე ერთად მივიდნენ და ძველი ჰიტი Walk This Way შეასრულეს. ჯგუფის დანარჩენი წევრების კომენტარი ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ადვილი სავარაუდოა, რომ პირები გაოცებისგან ახლაც ღია აქვთ. როგორც ჩანს, "აეროსმიტმა" დაკარგული დიდების დაბრუნება ასეთი იაფფასიანი სკანდალით გადაწყვიტა და ნამდვილად გამოუვიდა კიდეც - უკანასკნელ დღეებში პრესასა და ტელევიზიაში მათ შესახებ იმაზე მეტს საუბრობდნენ, ვიდრე ჯგუფის 40 წლიანი ისტორიის განმავლობაში. ერთი სიტყვით, სტივენ ტაილერი კვლავ "აეროსმიტია" და ჯგუფთან ერთად იუბილესთვის ემზადება.

ახლა კი კიდევ ერთი სკანდალის გმირების შესახებ: გერმანიის მთავრობამ "რამშტაინის" ახალი ალბომის Liebe ist Fur Alle Da-ის ქოვერის არტი მიუღებელ აღვირახსნილობად მიიჩნია და მისი სახალხოდ დემონსტრირება აკრძალა. საქმე ისაა, რომ ალბომის ქოვერზე გამოტანილ ფოტოზე ჯგუფის წევრები, მარტივად რომ ვთქვათ, შიშველი ქალის ასაკუწად



ემზადებიან. ვოკალისტ ტილ ლინდემანს ხელში უზარმაზარი დანა უჭირავს და თითქოს ქალისთვის ხელის მოჭრას ცდილობს, დანარჩენი წევრები კი ამ სანახაობას მშიერი თვალებით უყურებენ. გერმანიის მთავრობის კომიტეტმა, რომელიც ახალგაზრდობაზე აუდიო, ვიდეო და ფოტო მასალის გავლენის საკითხებს კურირებს, დაასკვნა, რომ ალბომის ყდა მათ კარგს არაფერს მოუტანს. კომიტეტის დასკვნამ კი ის შედეგი მოიტანა, რომ Liebe ist Fur Alle Da-ს შეზღუდული რაოდენობით გაყიდიან და ისიც მხოლოდ 18 წელს ზემოთ ასაკის მყიდველზე.

ალბომის ყდის ფოტოს გარდა, კომიტეტი მასში შესული ერთ-ერთი კომპოზიციის, Pussy-ს ვიდეომაც აღაშფოთა, თუმცა ის ჯერ ოფიციალურად არ აუკრძალავთ. კლიპში რამდენიმე ღია პორნოგრაფიული სცენაა, ამასთან სექსუალური აქტებისას არაა გამოყენებული პრეზერვატივი. კომიტეტმა კი ეს ფაქტი უსაფრთხო სექსის უგულებელყოფად მიიჩნია. ასევე "რამშტაინს" ოფიციალურად აეკრძალა სიმღერა Ich tue Dir weh-ის შესრულება, რადგან მისი ტექსტი უამრავ უცენზურო ფრაზას შეიცავს.

"რამშტაინი" როგორმე თავს მიხედავს, ჩვენ კი ვნახოთ, რას აპირებს იგი პოპი - რას და ჯგუფ The Stooges-ის 70-იან წლებში დაწერილი კომპოზიციების გამოშვებას. საინტერესოა, რომ ეს სიმღერები არასდროს გამოცემულა და ამ მხრივ მართლაც საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, თუმცა კონცერტებზე ჯგუფი მათ მაინც ასრულებდა ხოლმე. ახლა იგი პოპი და კომპანია სტუდიაში სამუშაოდ ემზადებიან, რადგან ყველა კომპოზიცია განახლებას საჭიროებს. ალბომის გამოშვების შემდეგ ჯგუფი მსოფლიო ტურნეს გეგმავს, ორიოდე დღის წინ კი Classic Rock Roll Of Honour-ის დაჯილდოების ცერემონიალზე იგი პოპი ოფიციალურად აღიარეს როკ'ენ'როლის ლეგენდად.

Spider-Man: Turn Off the Dark - ასე ჰქვია ბროდვეის ახალ მიუზიკლს, რომლის მუსიკის ავტორიც U2-ს სოლისტი ბონოა. ორიოდე დღის წინ კი გაირკვა, რომ ადამიანი ობობას, იგივე პიტერ პარკერის როლს 26 წლის მსახიობი და მუსიკოსი რივ კარნი შეასრულებს. მის მეგობარ გოგონას, მერი ჯეინს, ევან რეიჩელ ვუდი ითამაშებს, ხოლო მწვანე გობლინის ნიღაბს ალან კამინგი მოირგებს. აქვე ცნობილი ხდება ისიც, რომ დადგმის რეჟისორი "ფრიდასა" და "სამყაროს გავლით" ავტორი ჟულია ტეიმური იქნება. პროექტის ბიუჯეტი 40 მილიონ დოლარით განისაზღვრება, რაც ნიშნავს, რომ ის ბროდვეის ყველაზე ძვირად ღირებული დადგმა იქნება.

ამასობაში კი საწყალი ბრიტნი სპირსი ახალ სკანდალში გაეხვა. საქმე ისაა, რომ ძლივს რეაბილიტირებულმა მომღერალმა ავსტრალიის რამდენიმე ქალაქში კონცერტი ფონოგრამით ჩაატარა. პრესამ კი გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ კონცერტის მსვლელობისას აღშფოთებული მსმენელი დარბაზს ტოვებდა. მართალია, ამ ფაქტს სპირსის წარმომადგენლები არ ადასტურებენ, თუმცა იმდენად ბევრი დასამართლებელი ფაქტი მოჰყავთ, რომ მსმენელის აღშფოთების დაჯერება სავსებით შესაძლებელია. ტურის მენეჯერის თქმით, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ეს ბრიტნის სპირსის პირველი გასტროლია, ამიტომ მსმენელი ნაკლებად უნდა ელოდეს მაქსიმუმის მიღებას... ეს სიტყვები კი უკვე ადასტურებს, რომ ავსტრალიელებმა ფული სულ სხვა რამეში გადაიხადეს, სცენაზე კი სხვა რამ იხილეს (დიდი ამბავი! - სამიოდე კვირის წინ ჩვენთანაც ასე არ მოხდა?)...

ისევ ახირებული მუნკის ძიებაში

მოითხოვენ თუ არა გამოსასყიდს "ისტორიისთვის"?

ედვარდ მუნკი კრიმინალურ ქრონიკაში ისევ მოხვდა. ოსლოში კერძო გალერეადან მისი ლითოგრაფია, სახელწოდებით "ისტორია", მოიპარეს, პოლიციამ კი დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნა ვერ შეძლო. ეს მუნკის ნამუშვრის გატაცების პირველი შემთხვევა არ გახლავთ, ცოტა ხნის წინათ მომხდარმა ისტორიამ, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი "კივილის" ქურდობასთან იყო დაკავშირებული, ყველაზე მეტად სწორედ მძაფრსიუჟეტიანი ტრილერი მოგვაგონა და პუბლიკა მოვლენების განვითარების მოლოდინში ამჯერადაც გაინაბა.

დანაშაული 12 ნოემბრის საღამოს ჩაიდინეს. სავარაუდოდ, ორმა დამნაშავემ (თუმცა, გამორიცხული არ არის ქურდი ერთი ადამიანი ყოფილიყო) გატეხა გალერეა Nyborg Kunst-ის ფანჯარა და ლითოგრაფია წაიღო. მანქანა, რომლითაც მუნკის "ისტორია" გაიტაცეს, იყო თეთრი Citroen Berlingo, რომელიც მოწმეებმა დაინახეს. ავტომანქანას სწრაფად მიაგნეს, მაგრამ ქურდები და ნამუშევარი ვეღარ აღმოაჩინეს. პოლიციას ერთ-ერთი გამტაცებლის გარეგნობის აღწერაც უნდა ჰქონდეს...

ხელით შესრულებული ლითოგრაფია ზომით 98 X 57 სანტიმეტრია, მისი ღირებულება კი, დაახლოებით, 2 მილიონ ნორვეგიულ კრონს, ანუ 255 ათას დოლარზე მეტს შეადგენს. მასში გამოყენებული მოტივები მუნკმა სხვა ნამუშევრებიც გამოიყენა, ძირითადად კი ოსლოს უნივერსიტეტის აუდიტორიის კედლის მხატვრობაში, რომელზე მუშაობაც 1916 წელს დაასრულა. ის შედგებოდა სამი ნაწილისგან, რომელთაგან ერთ-ერთი იყო "ისტორია", ხოლო დანარჩენი ორი - "მზე" და "Alma Mater". ლითოგრაფია გალერეა Nyborg Kunst-ში რამდენიმე დღით ეკიდა: ის გასაყიდად გამოიტანა ოჯახმა, რომელიც მას წლების განმავლობაში ინახავდა. ამ გალერეას მეპატრონეა პასკალ ნიუბორგი, რომელმაც

ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისთვის ძალიან უსიამოვნო იყო მომხდარის ნამუშევრის მფლობელებისთვის თქმა.

გალერეის მფლობელი ვარაუდობს, რომ ქურდები ისე სწრაფად მოქმედებდნენ, ქურდობა, წესით, დაგეგმილი უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, მოპარული ნამუშევარი ყველაზე ძვირადღირებული იყო მათ შორის, რაც კი შენობაში იმ დროს გახლდათ გამოფენილი.

"ისტორიის" გარდა არაფერი წაუღიათ. თუმცა, ხელოვნებათმცოდნე გუნარ კროგ-ჰანსენი (Gunnar Krogh-Hansen) ფიქრობს, რომ მძარცველები, შესაძლებელია, რომელიმე სერიოზული კოლექციონერის დაკვეთით მოქმედებდნენ. მისი აზრით, ასეთი ლოთოგრაფიები დროდადრო იყიდება აუქციონებზე, რომელთაგან ერთ-ერთზე, სახელწოდებით Blomqvist, მსგავსი 1,5 მილიონ კრონად, დაახლოებით, ერთი წლის წინათ გაიყიდა. ასე რომ, მუნკის ამ ნამუშევრის მოპარვის რაციონალური მიზეზი არ არსებობს, ასკვნის სპეციალისტი...

კროგ-ჰანსენი იმასაც კი ვარაუდობს, თუ რა მიმართულებით უნდა ეძებოს ის პოლიციამ... მან სამართალდამცავებს 2009 წლის მარტის მოვლენები შეახსენა. იმ დროს ქალაქ ლარვიკის ეკლესიიდან მოიპარეს ლუკას კრანახის "მიეცით ბავშვებს ნება მომიახლოვდნენ" (შესრულებული დაახლოებით 1540 წელს, საწყისი ფასი - 2,8 მილიონ დოლარამდე). პოლიციამ ნამუშევრის დაბრუნება ქურდობიდან სამი დღის შემდეგ შეძლო. ერთხანს დამნაშავეების დაკავებაზეც იტყობინებოდნენ. და მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გამოძიების დეტალები აღარ გახმაურებულა, ამ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას ფლობს ხელოვნებათმცოდნე, რომელმაც აღნიშნა, რომ კრანახის მოპარვის შემდეგ ცნობილი გახდა რუსი კოლექციონერების შესახებ, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებებით არარეგალურად ვაჭრობდნენ... კროგ-ჰანსენის თქმით, არსებობს თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ პოლიცია "ისტორიის" ქურდობის გამოძიებისას იმავე კვალზე გავიდეს, რაც მოხდა კრანახის შემთხვევაში... მით უფრო, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში მუნკის ნამუშევრებზე ფასები ძალიან გაიზარდა. ეს ბაზარზე ხელოვნების ნიმუშებზე ფასების მატებასთანაც არის დაკავშირებული, თუმცა ნორვეგიელი მხატვრის ნახატები მაინც ყველაზე ძვირადღირებული იყო. მაგალითად, 2008 წელს, ჯერ კიდევ მსოფლიო კრიზისის დაწყებამდე, მისი მხატვრობის ღირებულებამ 30 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მისდამი დაინტერესების ზრდა მოპარულ "ისტორიაზეც" აისახა: ლითოგრაფია, რომელსაც 2 მილიონ კრონად აფასებენ, 2001 წელს სულ რაღაც 220 ათასად გაყიდეს. ამასთან, ქურდებს მისი ღია ბაზარზე "გასაღების" შანსიც არა აქვთ და შესაბამისად, მასში ვერც საექსპერტო ღირებულებას მიიღებენ. პოლიციის წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ "ისტორიის" დასაბრუნებლად ქურდები გამოსასყიდს მოითხოვენ.

მუნკის ნამუშევრების გატაცებასთან დაკავშირებით საზოგადეობის ინტერესი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მისი ნამუშევრების, უწინარესად კი ცნობილი "კივილის", ქურდობა გახმაურდა. "კივილის" კრიმინალური ისტორია კარგად არის ცნობილი - ის რამდენჯერმე გაიტაცეს. 1994 წლის დასაწყისში "კივილის" ოთხი ვერსიიდან ერთ-ერთი ოსლოს ნაციონალური გალერეადან გაიტანეს. ქურდებმა ნამუშევრის დასაბრუნებლად მილიონი დოლარი მოითხოვეს, მაგრამ დათმობაზე არავინ წავიდა. პოლიციამ ნაქურდალს უმოკლეს დროში - იმავე წლის მაისში მიაგნო. ამისათვის ორი ადამიანი გაასამართლეს.

შემდეგი და ყველაზე გახმაურებული ქურდობა "კივილის" 2004 წელს მოხდა. დამნაშავეებმა, რომლებიც მუნკის მუზეუმის თანამშრომლებსა და დამთვალიერებელს იარაღით ემუქრებოდნენ, ეს სურათი "მადონასთან" ერთად გაიტანეს. ამის გამოძიება გაიწელა და დაკავებები მხოლოდ წელიწადნახევაში დაიწყო, გატაცებული ნამუშევრების მოძებნას კი ორ წელიწადზე მეტი დაჭირდა.

მსოფლიო ახალი მთვარის მოლოდინში

"ბინდი: ახალმთვარეობის" მსოფლიო პრემიერა თბილისში

ია ვეკუა



არსებობს ფილმები, რომლებიც ფართო ეკრანებზე გამოსვლამდე არიან "განწირულნი" წარმატებისთვის. როგორც წესი, ფილმის ამ მდგომარეობას ან მასში დაკავებული ვარსკვლავები განაპირობებენ, ან რეჟისორის ავტორიტეტული სახელი, ანდა პროდიუსერთა მიერ სწორად წარმართული საპრომოუშენო კამპანია. თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზი - როდესაც ფილმი ცნობილი ნაწარმოების ეკრანიზაციას წარმოადგენს. სწორედ ასეთთა შორისაა "ბინდი" (Twilight), რომლის პირველი ნაწილი 2008 წელს გამოვიდა, მეორე სერიას კი ქართველი მაყურებელი 19 ნოემბრიდან მიიღებს - "ბინდი: ახალმთვარეობა" თბილისის კინოეკრანებზე სწორედ ამ დღეს გამოვა.

ფილმის სიუჟეტი პირველი "ბინდის" გაგრძელებაა: ვამპირების ორ კლანს შორის მომხდარი ბრძოლის შემდეგ მთავარი გმირის, ბელას შეყვარებული ედუარდი გაუჩინარდება. გულმოკლული გოგონა მასთან დაცილებას ძალიან დარდობს, თუმცა ვერც კი წარმოიდგენს, რომ ედუარდი იძულებული იყო მისი გადარჩენის გამო გამქრალიყო. გოგონა სულ უფრო უახლოვდება მეგობარ ჯეიკობ ბლეკს, თუმცა აზრადაც არ მოსდის, რომ ჯეიკობი "ღამის მონადირეთა" მეორე, ვამპირებთან დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენელია.

"ახალმთვარეობაში" პირველი სერიის სამსახიობო შემადგენლობა თითქმის უცვლელადაა წარმოდგენილი: კრისტენ სტიუარტი, რობერტ პატისონი, ტეილორ ლოტნერი და სხვა. თუმცა შეცვლილია რეჟისორი. კატრინ ჰარდვიკის ნაცვლად ამჯერად რეჟისორის სავარძელი კრის უეიცმა დაიკავა, რაც გარკვეულწილად იძლევა იმის ვარუდის საშუალებას, რომ "ახალმთვარეობა" გაცილებით მძაფრი და ემოციური იქნება, რისი გაკეთებაც ნამდვილად ვერ შეძლო ჰარდვიკმა - ფილმი შედედებულ სისხლს უფრო ჰგავდა, ვიდრე მჩქეფარეს. კრის უეიცს გამოცდილების მხრივაც უკეთესი მდგომარეობა აქვს: ძმასთან, პოლ უეიცთან ერთად პირველი "ამერიკული ნამცხვრის" ავტორია, ასევე მისი გადაღებულია ფილიპ პულმანის ნაწარმოების ეკრანიზაცია "ოქროს კომპასიც". ამჯერად კი კიდევ ერთი საკულტო ნაწარმოების ეკრანიზაციას მიჰყო ხელი.

"ბინდი" ახალგაზარდა ამერიკელი მწერლის, სტეფანი მეიერის 2005 წელს გამოცემული რომანია. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებმა მწერალთა და კრიტიკოსთა წრის ნაკლებად სასიამოვნო შეფასებები დაიმსახურა, ის გამოსვლიდან რამდენიმე დღეში ამერიკელი თინეიჯერი მკითხველის საყვარელ წიგნად იქცა, ორიოდე თვეში კი მსოფლიოს 26 ენაზეც კი თარგმნეს, რამაც მეიერის ნაწარმოებს მილიონობით თაყვანისმცემელი შესძინა.

სტეფანი მეიერი "ბინდის" შექმნასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ისტორიასაც იხსენებს: "2003 წლის 2 ივნისს სიზმარში მწვანე მინდორზე მჯდომი შეყვარებულები ვნახე. ბიჭი ვამპირი იყო და მოკვდავი გოგონას სისხლის დალევას ლამობდა, თუმცა სიყვარული ამის უფლებას არ აძლევდა". სიზმრიდან გამორკვევის შემდეგ მეიერმა მაშინვე წერას მიჰყო ხელი, თუმცა მწერლის გამოცდილება არ ჰქონდა, ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში მის ფორმაში მოყვანას ვერ ახერხებდა. როდესაც დასრულებული რომანი გამომცემლებს გააცნო, მაშინვე შესთავაზეს კონტრაქტი, რომელიც კიდევ სამი წიგნის დაწერას ითვალისწინებდა. ასე გაჩნდა "ახალმთვარეობა", "მზის დაბნელება" და "აისი" (დაგეგმილია ყველა მათგანის ეკრანიზაცია). არსებობს "ბინდის" სერიის კიდევ ერთი დაუსრულებელი რომანი "შუაღამის მზე", რომელიც სერიის ყველა წიგნის ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენს, თუმცა ამჯერად თხრობა ედუარდის მხრიდან ხდება. თაყვანისმცემლები მისი დასრულებას დიდი ხანია ელიან, თუმცა როგორც მეიერმა განაცხადა, "შუაღამის მზე" მხოლოდ მას შემდეგ გამოვა, როცა მკითხველს წინა რომანები მიავიწყდება.

სტეფანი მეიერს "ბინდის" გარდა სხვა რომანიც აქვს გამოშვებული. "სტუმარი", რომლის სიუჟეტის მიხედვითაც დედამიწას "ცნობიერების" პარაზიტები დაიპყრობენ. მათ არ გააჩნიათ საკუთარი სხეული, ამიტომ ადამიანებზე იწყებენ ნადირობას. რომანი სასიყვარულო ხაზსაც შეიცავს. მეიერს დაგეგმილი აქვს მისი კიდევ ორი გაგრძელების გამოშვებაც, თუმცა როგორც თავადვე არაერთხელ უთქვამს, ვერასდროს შეძლებს ისეთი რამის დაწერას, რაც მკითხველს "ბინდს" დაავიწყებს.

ჟურნალისტი, რომელმაც სიჩუმე დაარღვია...

1932-1933 წლებში, უკრაინაში შიმშილისაგან თითქმის 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა. მათი მესამედი ბავშვი იყო. შიმშილობა, როგორც ამას თავად უკრაინელებიც ამბობდნენ, იოსებ სტალინის მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი. ეს მეოცე საუკუნის ის ტრაგიკული მონაკვეთია, რის შესახებაც ძალიან ცოტა რამ იცოდნენ დასავლეთში.

ორიოდე დღის წინ კემბრიჯის ერთი აქამდე რიგითი ჟურნალისტის გვარი ყველაზე აქტუალური გახდა. საქმე იმაშია, რომ 1933 წლის მარტში, ბრიტანელი ჟურნალისტი, გარეტ ჯონსი უკრაინაში იქაური რეალობის არსაწერად გაემგზავრა. კემბრიჯშიც სწორედ მისი იმ პერიოდის დღიურებისა და ჩანაწერების გამოფენა გაიხსნა.

ჯონსმა კემბრიჯში ტრინიტიეს კოლეჯი დაამთავრა. სწავლის დასრულების შემდეგ მან მუშაობა დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ მინისტრთან, დევიდ ლოიდ ჯორჯთან დაიწყო და მისი დამხმარე გახდა. ექს-პრემიერის შეთავაზებით ის კორესპონდენტად რუსეთში წავიდა და რეპორტაჟების წერა დაიწყო. სხვა უცხოელი ჟურნალისტები მას ტენდენციურობასა და ანტირუსულ განწყობაში ადანაშაულებდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათაც კარგად იცოდნენ საქმის ნამდვილი ვითარება. ისინი შიშისა ცენზურის გამო იძულებული იყვნენ შეემცირებინათ მსხვერპლის რაოდენობა და ვითარებაც სხვაგვერად აღეწერად. გარეტმა სიჩუმე დაარღვია...

სხვა უცხოელი ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებდნენ მისი რეპუტაციის შესალახად. ამის ერთ-ერთი მაგალითია "ნიუ იორკ თაიმსი"-ის კორესპონდენტი - უოლტერ დიურანტი. მან ჯონსის სტატია, სათაურით - "რუსეთის მიერ შექმნილი შიმშილის მარწუხები - მილიონობით ადამიანი იხოცება" შეაფასა, როგორც "საფრთხის შემცველი" და მომდევნო ნომერშივე გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერდა, რომ რეალურად არავითარი შიმშილობა არ არსებობს და საშიშიც არაფერია.

ჯონსის დღიურის თითქმის ყველა გვერდზე მსგავსი ისტორია მეორდება. აქ იმ გლეხების ციტატებია მოყვანილი, რომლებსაც ის უკრაინაში ყოფნის დროს შეხვდა. "პური არ გვაქვს, უკვე ორი თვეა პური არ გვიჭამია. ძალიან ბევრი უკვე დაიღუპა, ჩვენც ცოცხალი მკვდრები ვართ!"

მოგვიანებით ჟურნალისტი იძულებული გახდა საბჭოთა კავშირი დაეტოვებინა.

1935 წელს გარეტ ჯონსი მოკლეს.

როგორც ლოიდ ჯორჯმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა "ის მოკლეს იმიტომ, რომ ძალიან ბევრი იცოდა იმაზე, რაც ხდებოდა! უკრაინელთა შიმშილობა ეს ისტორიის ის ნაწილია, რაზეც მსოფლიო გარეტ ჯონსის დღიურებისა და სტატიების გარეშე სიმართლეს ვერასდროს შეიტყობდა!

ლადო ათანელიც ქველმოქმედებას იწყებს

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო მოღვაწეობა სხვა ქართველი ხელოვანებისთვის მისაბაძი გამოდგა. საბედნიეროდ! ეს ის შემთხვევაა, როცა მიბაძვა პლაგიატობად და შესაბამისად, დანაშაულად არავის ეთვლება. 17 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ლადო ათანელის საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია და გალა-კონცერტი გაიმართება.

პროგრამაში იქნება ნაწყვეტები როსინის, ვერდის, ბიზეს, მასნეს, ლეონკავალოს, ჩილეას, ლაღიძის, ფალიაშვილის ოპერებიდან. მონაწილეობას მიიღებენ: ლადო ათანელი, ბადრი მაისურაძე, შალვა მუქერია, მაყვალა ასპანიძე, თეონა დვალი, ქეთევან ქემოკლიძე და ირაკლი ათანელიშვილი. ოპერის მოყვარულთათვის ეს მოვლენა სასიამოვნო სიახლე იქნება, თუმცა ჯერ მაინც ყველა ერთ კითხვას სვამს: ვინ იქნება ამ საღამოს დირიჟორი?! დირიჟორის ვინაობის გარდა, ასევე უცნობია ათანელის საქველმოქმედო ფონდის მიზნები. **24 საათი**

ART - ექსპერიმენტები

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ე.წ. ექსპერიმენტები გრძელდება. ხვალ, 19.00სთ-ზე წარმოგვიდგენენ ანა კალანდაძის ახალი წიგნის სიყვარულისგან ფართოვდება ქვეყანა" პრეზენტაციას. ქართველი მკითხველი პირველად იხილავს ანა კალანდაძის პროზაულ მინიატურებს, მოგონებებს და პორტრეტებს ცნობილ ადამიანებზე. ეს წიგნი ეკუთვნის გამომცემლობა "ინტელექტის" სერიას "მცირე პროზა". **24 საათი**

რუსთაველის თეატრი დრამატურგებსა და სცენოგრაფებს ეძებს!

1 ნოემბრიდან რუსთაველის თეატრში დაიწყო პროექტი "ახალი ტალღა", რომლის ფარგლებშიც შეირჩევა 10 ახალგაზრდა რეჟისორი, დრამატურგი, მუსიკის ავტორი და სცენოგრაფი, რომლებიც 2009-2010 წლების თეატრალური სეზონის ბოლოს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოადგენენ 10 სპექტაკლს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო".

პროექტის ფარგლებში ცხადდება დრამატურგების და სცენოგრაფების კონკურსი.

დრამატურგების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა დრამატურგებს. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე პიესა. პიესის თემა თავისუფალია.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - სინოპსისების წარმოდგენა და წინასწარი შერჩევა. მეორე ეტაპი - პიესების საბოლოო შერჩევა. საკონკურსო მასალის მიღების ბოლო ვადაა 20 ნოემბერი.

მონაწილეებმა, რომლებმაც პირველ ეტაპზე წარადგინეს მხოლოდ სინოპსისები, პიესის დასრულებული ვარიანტი უნდა შემოიტანონ 2009 წლის 25 დეკემბრამდე. წარმოდგენილი მასალიდან კომპეტენტური ჟიური შეარჩევს 10 საუკეთესო პიესას, რომლებიც დაიდგმება რუსთაველის თეატრის ექსპეტიმენტულ სცენაზე.

სცენოგრაფების კონკურსის თემა თავისუფალია და ჩატარდება ასევე ორ ეტაპად

პირველი ეტაპი - საკონკურსო მასალის მიღება. მასალის გამოგზავნის ბოლო ვადაა 20 ნოემბერი. მეორე ეტაპზე მოხდება კონკურსანტებთან გასაუბრება. 24 საათი

ქუთაისის და სამტრედიის არქივები მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემაში ჩაერთო

ქუთაისის ცენტრალური და სამტრედიის ადგილობრივი არქივები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში ჩაერთო.

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით, ქუთაისის და სამტრედიის მაცხოვრებლებს შეუძლიათ თბილისში მდებარე ცენტრალური და ადგილობრივი არქივებიდან მიიღონ მათთვის საჭირო ცნობები. გარდა ამისა, საარქივო დოკუმენტის მისაღებად იმერეთის რეგიონში ჩასვლა აღარც თბილისელებს დასჭირდებათ.

როგორც ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა განაცხადა, ელექტრონული სისტემა გაუმარტივებს მომსახურებას როგორც მოქალაქეებს, ისე ორგანიზაციებს.

ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამა თბილისის მასშტაბით რამდენიმე კვირის წინათ ამოქმედდა. ამ სიახლის დანერგვით მოქალაქეთა მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. სპეციალური პროგრამა ერთი მხრივ, მოქალაქეს უმარტივებს მომსახურების მიღებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდა პროცედურებს.

ეროვნულ არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ უწევს. მათ მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრონულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში იღებს.

სპეციალური პროგრამა ეროვნულმა არქივმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით შეიმუშავა.

მომსახურების ელექტრონული პროგრამაში ეტაპობრივად ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება. **24 საათი**

სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმის 2010 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსის პირობები

1.კონკურსი ცხადდება სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების (შემდგომში განმცხადებელი), სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებს.

3.საექსპერტო კომისიაში პროექტის განხილვის მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი უმაღლესი სასწავლებლის მიერ.

4. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს წარმოადგინოს არა უმეტეს ხუთი პროექტისა (თითოეული პროექტის განხილვა მოხდება ცალ-ცალკე);

5. კონკურსში გამარჯვებული პროექტები კინოცენტრის მიერ ფინანსდება 75% -მდე.

6. კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა თითო პროექტზე არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს;

7. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ხანგრძლივობა უნდა იყოს 15 - 20 წუთამდე, ანიმაციური ფილმის
5 წუთამდე;

8. კონკურსი ტარდება ორ ტურად. მეორე ტური ითვალისწინებს კომისიის გასაუბრებას პროექტის
განმცხადებელთან და რეჟისორთან.

9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროდიუსერმა უნდა წარმოადგინოს:

ა) აპლიკაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);

ბ) უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კინორეჟისორის საკურსო ნამუშევარი;

დ) რეჟისორის ხედვა (1 გვერდი) ;

ე) ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, კომპოზიტორი)
ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები;

ვ) ფილმის სინოფსისი (1 გვერდი);

ზ) ფილმის ლიტერატურული სცენარი (5 - 10 გვერდი) ;

თ) პერსონაჟების და ობიექტების ესკიზები (ანიმაციური ფილმის შემთხვევაში) ;

ი) ფილმის ბიუჯეტი;

კ) საწარმოო გეგმა (სამუშაოების შესრულების განრიგი), რომელიც მოიცავს წინა-საწარმოო,
გადაღების, პოსტპროდუქციის ვადებსა და ფილმის დასრულების სავარაუდო თარიღს;

ლ). უმაღლესი სასწავლებლის საკუთრებაში არსებული ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი;

11. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია გამარჯვებისთანავე წარმოადგინოს კინოცენტრში სრული ბიუჯეტის არანაკლებ 25%-ის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ან ამ თანხის შესაბამისი ტექნიკური მომსახურეობის გარანტია), წინააღმდეგ შემთხვევაში კინოცენტრი გააუქმებს პროექტის დაფინანსების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას;

12. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 6 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიის სახით;

13. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს განმცხადებლის ხელმოწერით და ბეჭდით.

14. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაციის გავლა
ეროვნული კინოცენტრის ოფისში 2009 წლის 18 დეკემბრამდე.

15. რეგისტრირებული პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა: 2010 წლის 22 იანვარი, 17:00 სთ.

*შენიშვნა: ა). გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კონსულტაციების გავლა.კონსულტაციები ჩატარდება ყოველ
სამშაბათს, 12 საათზე ეროვნულ კინოცენტრში. ეროვნული კინოცენტრი პროექტების შენახვაზე პასუხისმგებელია
კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 2 თვის მანძილზე.

ბ). რეგისტრაციის გასავლელად გთხოვთ მობრძანდეთ 2009 წლის 18 დეკემბრამდე ეროვნული კინოცენტრის ოფისში.

მისამართზე დ.აღმაშენებელის N164.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

2010 წელს
სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ან ანიმაციური ფილმის
წარმოების დასაფინანსებლად.

გამარჯვებული პროექტები ეროვნული კინოცენტრის მიერ ფინანსდება მაქსიმუმ 75%-მდე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებს.

საექსპერტო კომისიაში პროექტის განხილვის მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი უმაღლესი სასწავლებლის მიერ. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს წარმოადგინოს არა უმეტეს ხუთი პროექტისა. თანხა თითო პროექტზე არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს.

ხანგრძლივობა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის უნდა იყოს 15 - 20 წუთამდე, ანიმაციური ფილმის 5 წუთამდე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაციის გავლა ეროვნული კინოცენტრის ოფისში 2009 წლის 18 დეკემბრამდე.
რეგისტრირებული პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა
2010 წლის 22 იანვარი, 17:00 სთ.

კონკურსის პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან
ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე.
კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0112 თბილისი, დ. აღმეშენებელის N164.
ტელ/ფაქსი: 34.28.97. 34.29.75. E-mail: office@filmcenter.ge www.filmcenter.ge

---

ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპი
GEORGIAN-TURKISH JOINT COMPANY BLACK SEA GROUP
B. S. GROUP

თბილისი
12/11/2009

განაცხადი ასანიზატორის მანქანის შესყიდვაზე 24 საათში

თურქულ-ქართულ კომპანია შ.პ.ს. “ბლექ სი გრუპი” აცხადებს ტენდერს ასანიზატორის მანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გვსურს შევისყიდოთ ახალი ან მეორადი კარგ მდგომარეობაში მყოფი ასანიზატორის მანქანა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შ.პ.ს. “ბლექ სი გრუპი”-ს შესყიდვების მენჯერს მათე ოქროპირიძეს (877) 990 304.

გმადლობთ

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის კლინიკა
"ოფთალმიჯი”
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით
სიახლე!
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი შეტყობინება გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

პროექტის დასახელება:	ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი
დაფინანსების წყარო:	IDA კრედიტი: 3702-GE
მოწვევის №	PHCDP/SH/26
შესყიდვის მეთოდი	ფასთა კოტირება (Shopping)

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციიდან, ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტისა და გრანტის ნაწილი გამოყენებულ ნაბეჭდი მასალების შესასყიდათ.

წარმოდგენილი განფასებები და შეფასება:

#	მონაწილე ფირმა	წარმოდგენილი ფასი /ლარი	საბოლოო შეფასებული /ლარი/
1	შპს "თამარიონი 2002"	GEL7700.00	GEL 6632.18
2	შპს "ფოუნტეინ ჯორჯია"	GEL 9809.00	GEL 9809.00
3	შპს "სი–ჯი–ეს"	GEL 15487.50	GEL 10862.50

შეფასებისას არც ერთი წინადადება არ იქნა უარყოფილი.

ხელშეკრულების გაფორმება:

ხელშეკრულება № PHCDP/SH/26, ნაბეჭდი მასალების მოწოდებაზე გაფორმდა შპს „თამარიონი 2002“–სთან, საკონტრაქტო ღირებულებით 6’632.18 ლარი.

სპორტი

ძალა ერთობაშია

თედო ზიბზიბაძემ (მარცხნივ) პირველი ლელო გაიტანა

გიორგი ბესაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

მოთხრობა, რომანი, კინოფილმი, მუსიკა თუ მხატვრული ნაწარმოები ძალ-რბილში გიჯდება და დაუვიწყარი ემოციებით გმუხტავს. ჰოდა, რაკი ტრიბუნებზე სიამაყის ცრემლი გაჩნდა, ესე იგი ძალიან კარგი გუნდი გვყავს.

მორაგბეებმა ეს შეძლეს და საცოდაობა იქნება, მათ ხელი არ გავუმართოთ. ამას წინათ, რაგბში მოღვაწე ერთმა მეგობარმა მითხრა, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, სულ 70 მორაგბე გვეყოლება, რომლებზეც დგას ქართული რაგბის სიდიადეო. ახლა წარმოვიდგინოთ, 700 ასეთი მორაგბე რომ გვყავდეს, რა მწვერვალებს შეიძლებოდა შევჭიდებოდით. მით უფრო, რომ არგენტინასთან მატჩმა დაგვანახა - "ბორჯღალოსნები" მსოფლიო ელიტის კარიბჭესთან დგანან და ამ კარიბჭესაც აუცილებლად შეაღებენ, თუ დასაწყისისთვის, ეროვნულ გუნდს მაინც ექნება საკუთარი სავარჯიშო ბაზა და ქვეყანაში სარაგბო ინფრასტრუქტურა განვითარდება.

მოდით ერთი წუთით დავფიქრდეთ, რა სჯობს ქვეყანაში სპორტის განვითარებისთვის ან თუ გნებავთ ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრებისთვის? ყველაფერს მივედ-მოვედოთ და მუდამ მეორე ვიყოთ, თუ თვითმიზნად დავისახოთ, ვთქვათ, რაგბის განვითარება და მსოფლიო ჩვენს ქვეყანაზე დადებითი კუთხით ავალაპარაკოთ?

მსოფლიო თასზე ირლანდიასთან დამარცხების შემდეგ (10:14), ევროსპორტზე ერთი კვირის განმავლობაში ქართველ მორაგბეებზე საუბრობდნენ, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი სულაც "ბორჯღალოსნებზე" ფილმი გადაიღეს. ახლა წარმოვიდგინოთ, ის თამაში რომ მოგვეგო (რაც სავსებით რეალური იქნებოდა, რომ არა გამოუცდელობა), რამხელა რეზონანსი მოყვებოდა ამას მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში?

არგენტინის "იაგუარები" პირველი ელიტარული გუნდია, რომელიც დავამარცხეთ. მართალია, მას არგენტინის მეორე ნაკრების სტატუსი ჰქონდა, მაგრამ თბილისში წარმოდგენილ ყველა მორაგბეს არაერთხელ დაუცავს თავისი ეროვნული გუნდის ("პუმები") ღირსება. არგენტინა კი მსოფლიო რეიტინგში მეექვსე ადგილზეა. შესაბამისად, რაკი ასეთი ქვეყნის ნაკრებს ვამარცხებთ, ეს ჩვენი გუნდის დიდ პოტენციალზე მეტყველებს. საქართველოს ნაკრები დღეს ისე ძლიერია, როგორც არასდროს, ამიტომ მინიმუმ სავარჯიშო ბაზას ნამდვილად იმსახურებს.

გუნდი თამაშობს დინჯად და გააზრებულად. მიზანმიმართულად უტევს და იხევს უკან. ხაზის მოთამაშეები თავიანთი დატვირთვით და შესაძლებლობებით, თანდათან უტოლდებიან ჩვენი გუნდის დამრტყმელ ძალას - შერკინებას, რაც გუნდის დაბალანსებას უწყობს ხელს. "იაგუარებთან" შეხვედრაში ეს ნათლად გამოჩნდა. "ბორჯღალოსნებმა" მეორე ტაიმის ნახევარი უმცირესობაში გაატარეს, მაგრამ ერთხელაც არ დაბნეულან შექმნილი ვითარების გამო. პირველი ლელოც ხაზისა და შერკინების კოორდინირებული გარჯის შედეგი იყო. მოგებული დერეფნის შემდეგ შერკინებამ შეტევისთვის ხელსაყრელი პლაცდარმი მოიპოვა, ბურთი ხაზზე გაათამაშა და თედო ზიბზიბაძე, რომ იტყვიან, არგენტინელთა ჩათვლის მოედანში შეფრინდა. ეს ლელო იმითაც მნიშვნელოვანი იყო, რომ თედოს პრობლემების გამო მთელი წელი გაუცდა და სასიამოვნოა, რომ ის კარგ სათამაშო ფორმაში იმყოფება.

მეორე ლელოც უმაღლესი კლასის კომბინაციას მოჰყვა. ქართველებმა სწრაფი გადაცემებით რამდენჯერმე გაჭრეს მეტოქის დაცვის ხაზი. ეს იმდენად ეფექტური სანახავი იყო, რომ ტრიბუნები აღტაცების შეძახილებმა მოიცვა. სწრაფად დამკვიდრდნენ არგენტინელთა ჩათვლის მოედანთან ახლოს და უკვე შერკინების მიძალებით მიაღწიეს კიდეც მიზანს. ეს უკვე გამარჯვება იყო, რადგან ის მუხტი და ბრძოლის ჟინი, რომლითაც "ბორჯღალოსნები" სათამაშოდ გამოვიდნენ, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს.

შაბათს გუნდი და სტადიონი იყო როგორც ერთი. ერთად უტევდნენ, ერთად ხარობდნენ და ერთად განიცდიდნენ. ესეც "ბორჯღალოსნებმა" შეძლეს. ამ ერთიანობის წინაშე "იაგუარებიც" კი უძლურნი აღმოჩნდნენ. რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილ ქართველებს ვერაფერი დააკლეს და მხოლოდ მატჩის მიწურულს გაიტანეს პრესტიჟის ლელო. სწორედ ამაზეა ნათქვამი - ძალა ერთობაშია.

16 ნოემბერს ქართველი "ბორჯღალოსნები" იტალიაში მიემგზავრებიან, სადაც იტალიის A ნაკრებთან გამართავენ ტესტ-მატჩს.

14 ნოემბერი. თბილისი. "ბორის პაიჭაძე". (28 000)

საქართველო - იაგუარები (არგენტინა A) 24:22 (21:12)

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე (რევაზ გიგაური 73), 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე (ბიძინა სამხარაძე 71); 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე (ირაკლი ნატრიაშვილი 71), 3. გოდერძი შველიძე (გიორგი ჩხაიძე 60), 4. გიორგი ნემსაძე (ლევან დათუნაშვილი 57), 5. ილია ზედგინიძე, 6. გია ლაბაძე (რატი ურუშაძე 72), 7. გიორგი ჩხაიძე (დავით ქუბრიაშვილი 53), 8. მამუკა გორგოძე.

2 ლელო: ზიბზიბაძე (21), ხინჩაგიშვილი (33)

1 გარდასახვა: კვირიკაშვილი (22)

4 ჯარიმა: კვირიკაშვილი (2, 6, 29, 55)

2 სინბინი: ხინჩაგიშვილი (50), ჩხაიძე (69)

მწვრთნელი: ტიმ ლეინი

ფიზმომზადების მწვრთნელი: ჯონი ნამუ

იაგუარები: 15. მარტინ ბუსტოს მოიანო (ფრანსისკო ხოსე მერელიო 57), 14. ველისარიო აგულია, 13. მიგელ ავრამოვიჩი, 12. მატიას ვიასო, 11. ტომას დე ვედია, 10. იგნასიო მიერესი (სანტიაგო გონსალეს იგლესიასი 57), 9. მარტინ ლანდხარო; 1. პაბლო ხენი (უგო შიერანო 71), 2. ალვარო ტეხედა (ნაუელ ტეტას ჩაპარო 67), 3. ხუან გომესი, 4. ტომას როანი, 5. მარიანო გალარსა, 6. იგნასიო პასმანი (აგუსტინ გუსმანი 71), 7. როდრიგო ბრუნო, 8. ლეონარდო სენატორე.

ლელო: ლანდხარო (78)

გარდასახვა: გონსალეს იგლესიასი (78)

4 ჯარიმა: ბუსტოს მოიანო (4, 27, 35, 46)

არეკნი: მიერესი (15)

მწვრთნელი: ხოსე ორენგო

ფიზმომზადების მწვრთნელი: ხორხე რუისი

წარუმატებელი სტარტი

იაპონიაში სტარტი აიღო სუმოისტთა სეზონის ბოლო სუპერტურნირმა. ნოემბრსი ბაშო ქართველთათვის წარუმატებლად დაიწყო. პირველ საასპარეზო დღეს მაკუჩი დივიზიონში მოსაპარეზე ორი ქართველი დამარცხდა. დასავლეთის მეათე მაიგაშირა კოკაიმ კირიკაეშის ილეთით აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაიგაშირა ტამავიშისთან დათმო ორთაბრძოლა, დასავლეთის მერვე მაიგაშირა ტოჩინოშინი კი შიტატენაგეს ილეთით აპღმოსავლეთის მეცხრე მაიგაშირა იოშიკაზესთან დამარცხდა.სამწუხაროდ რანგით მაღლა მყოფი თანამემამულეების დარად დამარცხდა ძუროს დივიზიონში მოასპარეზე გაგამარუც, რომელმაც კოტოუტაკისთან წააგო.

პლუს სამი

შაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გამართულმა მატჩებმა მუნდიალის ფინალური ეტაპის მონაწილე კიდევ სამი გუნდის ვინაობა გაარკვია. ახალი ზელანდია, კამერრუნი და ნიგერია იმ გუნდებს შეუერთდნენ, რომლებსაც აქამდე ჰქონდლათ ფინალურ ეტაპზე თამაში განაღდებული. 18 ნოებმერს კი დარჩენილი 5 გუნდის ვინაობასაც გავიტგებთ ფლეიოფების განმეორებით მატჩების დასრულების შემდეგ. უნდა ითქვას, რომ შაბათის შეხვედრები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ოკეანიის ზონაში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ფლეიოფის განმეორებით შეხვედრაში ბაჰრეინის გუნდს ანგარიშით 1:0 სძლია და არსებობის მანძილზე მეორედ ითამაშებს მუნდიალზე. აღსანიშნავია, რომ ბაჰრეინელებს შანსი ჰქონდათ, მაგრამ რად გინდა ამ გუნდის ფეხბურთელმა მატჩის მიწურულს პენალტი ვერ გაიტანა. აფრიკულ ზონაში კამერუნმა და ნიგერიამ შეძლეს საგზურების მოპორვება. კამერუნის ნაკრებმა გასვლაზე უშუალო კონკურენტი მაროკოს გუნდი დაამარცხა ანგარიშით 3:0 და დამსახურებულადაც გავიდა მუნდიალზეყ რაც შეეხება ნიგერიის ნაკრებს "არწივებს" აშკარად გაუმართლათ. ნიგერიელები კენიასთან გასვთლით მატჩში მხოლოდ 90-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოხვდნენ მუნდიალზე, თუმცა ნიგერიის ნაკრებს ესეც ვერ უშველიდა, რომ არა ტუნისელოთა უიღბლობა, რომლებიც გასვლაზე მოზამბიკის ნაკრებს ეთამაშებოდნენ. ტუნისის ნაკრებს საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ყოფნიდა, მოზამბიკელებს კი სატურნირო მოტივაცია საერთოდ არ გააჩნდათ. 84 წუთის განმავლობაში ტუნისელთათვის საგანგაშო არაფერი ხდებოდა, აი შემდეგ კი მოზამბიკელებმა გოლის გატანა შეძლეს და ნიგერიის ნაკრებს მუნდიალზე გასამგზავრებელი ბილეთები დაუჯავშნეს. ახოა ფლეიოფებზე გადავიდეთ, ურუგვაის ნაკრებმა ფაქტობრივად გაინაღდა საგზური დაამარცხა რა გასვლაზე კოსტა რიკის ეროვნული გუნდლი ანგარიშით 1:0. ევროპაში ფლდეიოფების პირველმა მატჩებმა განსაკუთრებული სიცხადე ვითარებაში ვერ შეიტანეს. ერთადერთი გულდამშვიდებქით ფრანგებს შეუძლიათ ყოფნა, დომენეკის გუნდმა ირლანდიის ნაკრები გასვლაზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა. რუსებმა 2:1 მოუგეს სლოვენიელებს და ახლა განმეორებით მატჩში დიდი ომია მოსალოდნელი. პორტუგალიამ ანგარიშით 1:0 სძლია ბოსნიის ნაკრებს, თუმცა ბოსნიელებმა ბრწყინვალე ფეზბურთი აჩვენს, გოლიც გაიტანესბ მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. უკრაინა და საბერძნეთი უგოლო ფრით დაშორრდნენ ერთმანეთს და ამ დაპირისპირებაშიც ყველაფერი 18 ნოემბერს კიევში გასამართ მატჩში გადაწყდება.

რონალდო მიდის

თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდა, ბრაზილიელი ფენომენი, ამჟამად "კორინთიანსის" 33 წლის ფორვარდი რონალდო კარიერის დასრულებას ფიქრობს. "უკვე 33 წლის ვარ და ამ ასაკში ჩემი ფეხბურთიდან წასვლა ალბათ, არავის გაუკვირდება. კარიერის დასრულებას მიმდინარე სეზონის ბოლოს ვგეგმავ. შესაძლოა, წასვლაზე ჯერ არც მეფიქრა, მაგრამ გაუთავებელი ტრავმიანობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემების გამო, იძულებული ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა. მე ფეხბურთში ისედაც ბევრს მივაღწიე და თავის ტანჯვა აღარ ღირს. ერთადერთი ოცნება მაქვს დარჩენილი - მინდა "კორინთიანსთან" ერთად ლიბერტადორესის თასი მოვიგო", - ამბობს რონალდო. კარიერის განმავლოაბში რონალდოს ფაპქტობრივად ყველაფერი აქვს მოგებული და რომ არა ტრავმები იგი შესაძლოა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც ქცეულიყო.. აღნიშნულმა ტრავმამ რონალდოს თითქმის 2 სეზონი გამოატოვებინა და მის შემდგომ კარიერაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ამის მიუხედავად, "კიჭას" დარი ტიტულებით ერთეულები თუ დაიკვეხნიან - სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რონალდო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ამდენივეგზის საუკეთესო ფეხბურთელია. ამასთან, მუნდიალების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია.

კატალონიურ-მილანური მორიგი გაცვლა

ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან გარიგებად იბრაგიმოვიჩისა და ეტოოს გაცვლა ჩაითვალა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ინტერმა" და "ბარსელონამ" შესაძულოა მორიგი გაცვლა განახორციელონ.

მილანურ კლუბში 24 წლის კოტდივუარელი ნახევარმცველი, იაია ტურე გადავა, მის სანაცვლოდ კი, "ბარსელონა" იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს, მარიო ბალოტელის მიიღებს.

რამდენიმე დღის წინათ, "ნერაძურის" თავკაცმა, ჟოზე მოურინიომ აღიარა - 19 წლის თავნება ფორვარდის მართვა საკმაოდ მიჭირს და თუკი იგი გონს არ მოეგება, არაა გამორიცხული, კლუბის ხელმძღვანელობას მისი გაყიდვა ვთხოვოო. თავის მხრივ, გუნდის შეცვლის წინააღმდეგი არც იაია ტურე უნდა იყოს.

კუდიჩინი გადარჩა

"ტოტენჰემის" 36 წლის იტალიელი მეკარე კარლო კუდიჩინი სიკვდილს გადაურჩა.

ვეტერანი იტალიელი კიპერი BMW-ს მარკის საკუთარი მოტოციკლით ლონდონისკენ მიემართებოდა და მას მაღალი სიჩქარით მიმავალი Ford Fiesta შეასკდა, რომელსაც მანდილოსანი მართავდა. შემთხვევის ადგილზე წუთებში გაჩნდა სამედიცინო დახმარების ბრიგადა და ვერტმფრენი, თუმცა, საბედნიეროდ, საქმეში ამ უკანასკნელის ჩარევა საჭირო არ გახდა.

კუდიჩინი სხეულის მრავალმხრივი დაზიანებით ლონდონის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. სამედიცინო შემოწმების შედეგად, ფეხბურთელს მაჯა და მენჯი მოტეხილი აღმოაჩნდა. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ უკვე დააფიქსირა, რომ აპენინელი მეკარის ჯანმრთელობას, ჰოსპიტალის პერსონალთან ერთად, თვალს კლუბის სამედიცინო შტაბის

კონჩსეისაო კარიერას ასრულებს

პორტუგალიის ნაკრების ექს-ნახევარმცველი, თავის დროზე "ინტერის", "პორტოს", "პარმასა" და "ლაციოს" ფეხბურთელი სერჟიო კონსეისაო კარიერსი დასრულებას აპირებს.

ბოლო ორი სეზონის განმავლობაში 35 წლის კონსეისაო ბერძნულ პაოკში თამაშობდა.

"ფეხბურთის თამაშს თავს ვანებებ. მეამაყება, რადგან ცუდი კარიერა არ მქონია და ბევრს მივაღწიე" - თქვა პორტუგალიელმა, რომელმაც მინდვრიდან პაოკ-ის ტექნიკური დირექტორის პოსტზე გადაინაცვლა.

თერიმი "სპორტინგში"

ყველაზე ცნეობილი თურქი მწვრნელი ფათიხ თერიმი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დატოვა თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შესაძლოა პორტუგალიური "სპორტინგის" თავკაცად დაინიშნოს.

"სპორტინგი" მთავარი მწვრთნელის გარეშე გასულ კვირაში დარჩა, როცა ლისაბონელებს პაულუ ბენტუ გამოეთხოვა.

რობინიომ უარყო

ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ სიტის" ფორვარდი რობინიო, გავრცელებულ ინფორმაციას კატალონიურ "ბარსელონასთან" საკონტრაქტო პირობების შეთანხმების შესახებ უარყოფს და აცხადებს, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სამუშაო ადგილის შეცვლას არ აპირებს.

"მანჩესტერ სიტიში თამაშით კმაყოფილი ვარ. ბოლო პერიოდში ჩემს შესახებ არაერთი ცნობა მოვისმინე, მაგრამ სინამდვილეში, ახლა მხოლოდ მოედანზე სწრაფად დაბრუნებაზე ვფიქრობ" - აამბობს რობინიო.

არადა ერთი კვირის წინ ბრაზილიმელი ირწმუნებოდა "ბარსელონაში" გადასვლა ჩემი მთავარი მიზანიოა, თუმცა ამ ერთ კვირაში ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში ის, რომ კატალონიური გრანდი და "სიტი" რობინიოს ტრანსეფრზე ვერ შეთანხმდენენ.

დე როსი სავადმყოფოში აღმოჩნდა

"რომასა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველ დანიელე დე როსის მოულოდნელად თირკმელი ატკივდა, რის გამოც მან თავი საავადმყოფოში ამოჰყო. სამედიცინო შემოწმების შედეგად, 26 წლის ფეხბურთელს თირკმელზე სერიოზული პრობლემა აღმოაჩნდა და სავარაუდოდ, მას ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ამდენად, დე როსის დაბრუნების თარიღის დაკონკრეტება ჯერჯერობით შეუძლებელია.

ქართულ-ირლანდიური ტრადიციული 1:1

ბელგიელი ბუსაიმის ფოტოები

ანანიძემ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა

მიხეილ აბაიშვილი

"კმაყოფილი მხოლოდ მოგების შემდეგ ვიქნები", - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოთარ გაბელიას ეს სიტყვები ზუსტად ასახავს იმ განწყობას, რომელიც მიხეილ მესხის სტადიონზე მატჩის შემდეგ სუფევდა. ქულა, რომელიც ნაგებას აშკარად სჯობს, მაგრამ პრობლემებს ვერ გვიწყვიტავს - ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მიერ მიღწეული შედეგი. მართლაც მიღწეული, რადგან, მოლოდინის მიუხედავად, საქართველოს ახალგარზდულმა ვერც ამჯერად შეძლო ირლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების დაჯაბნა და ბოლო წუთებზე გატანილი გამთანაბრებელი გოლის წყალობითღა შეძლო ქულის ხსნა.

არადა, ირლანდიის ახლგაზრდულთან დაპირისპირებაში როგორც სპორტულ-სატურნირო, ისე მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით 3 ქულა მართლაც ჰაერივით გვჭირდებოდა. ამ მატჩამდე გაბელიას გუნდმა მიმდინარე ტურნირში სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე შესაძლო შედეგი დაფიქსირა: მარცხი ესტონეთთან გასვლით შეხვედრაში, მოგება თურქეთთან ზესტაფონში და ფრე - ირლანდიელებთან დუბლინში. ჯგუფში კი, საიდანაც ფინალური ეტაპის გარანტირებულ საგზურს მხოლოდ პირველი ადგილი იძლევა, გალიდერდა შვეიცარია. ამ ნეიტრალური ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველ წრეში საკუთარ არენაზე ესტონეტთან განცდილი სენსაციური მარცხის შემდეგ სამი თამაში მოიგეს, ერთიც - ფრედ დაასრულეს და 10 ქულა დაუგროვდათ. სხვათა შორის, ფრე შვეიცარლებმა სწორედ ირლანდიასთან ითამაშეს, ხოლო ესტონეთზე ჯავრი ტალინში იყარეს, 4:1 დაამარცხეს ამსპინძლები და სრულფასოვანი რევანშიც აიღეს. იმის გატვალისწინებით, რომ ზუსტად სამ დღეში სწორედ სვეიცარიას, კერძოდ კი ლუგანოს ვსტუმრობტ და ჯგუფის ლიდერ-ფავორიტს ვეამაშებით, ირლანდიასთან წარმატებული ამაში ბრწყინვალე მორალურ-ფსიქოლოგიურ ფონს სექმნიდა გუნდში, თან უკვე 7 ქულაც გვექნებოდა, რაც ჯგუფში თუნდაც პირვლეი ადგილისთვის ბრძოლის კარგ შანსს გვიჩენდა. სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო ოთარ გაბელიამ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა და, თავისდა უნებურად, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დებიუტანტებს დაუთმო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ახალგაზრდულის ვარსკვლავური შემტევი დუეტის - ყენიამჭედლიძის არყოფნა, რომელთა უთამაშებლობა თვით ეროვნული ნაკრების შედეგებზეც კი საგრძნობლად უარყოფითად მოქმედებს, რომ აღარაფერი ვთქვათ 21-წლამდელებზე. ასევე, ყვითელი ბარათების გამო ირლანდიელების წინააღმდეგ ვერ ითამაშეს სანაიამ და ხიდეშელმა. გეთიაშვილმა, კვაკვესკირმა და ოქრიაშვილმა, რომელთა დებნიუტიც ახალგაზრდულში სწორედ ირლანდიასთან შედგა, სრულფასოვნად ვერ შეცვალს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული მოთამაშეები. ეს განსაკუთრებით ეს განსაკუთრებით ზუგდიდის "ბაიას" ნახევარმცველ კვეკვესკირზე ითქმის, რომელიც საერთო ანსამბლიდან აშკარად ამოვარდნილი იყო. შედარებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოქრიაშვილმა.

როგორც ერთი, ისემეორე გუნდის შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმ დღეს მოედანზე მყოფთაგან ასაკით ყველაზე უმცროსი ფეხბურთელი, ჯანო ანანიძე, რომლის სწრაფ ფლანგურ სოლორეიდებსაც ჯანიანმა და ზორბა ირლანდიელებმა ვერაფერი მოუხერხეს. იყო ეპიზოდები, როცა ანანიძეს თავისი თანაგუნდელებიც ვერ უგებდნენ და ანანიძის მახვილგონივრული გადაცემები ადრესატს ვერ პოულობდა.

საერთო ჯამში, იგრძნობოდა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს აშკარად აკლდა შეთამაშება - სტუმრები გაცილებით, ასე ვთქვათ, "დალაგებულ" ფეხბურთს გვიჩვენებდნენ, თუმცა, ინდივიდუალური ოსტატობის და მაღალი საშემსრულებლო კლასის ხარჯზე სახიფათო მომენტები უფრო ირლანდიელთა კართან იქმნებოდა. ჩვენებს, სულ მცირე, სამჯერ მაინც მართებდათ შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიშს გახსნა. ორ ეპიზოდში ანანიძემ გაიბრწყინა, მაგრამ ჯერ მისი ფლანგური გარღვევის და უზადო გადაცემის შემდეგ კლიმიაშვილმა გაატანა ქარს უაღრესად ხელსაყრელი საგოლე მომენტი, შემდე, თავად ანანიძე გაერთო ტექნიკის დემონსტრირებაში, დარტყმა დააგვიანა და სტუმართა მცველებს ვითარების განმუხტვის საშუალება მისცა. კიდევ ერტ ეპიზოდში იმავე კლიმიაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარეს ამჯერადაც ვერ აჯობა. სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელმა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში ფეხი გადაიბრუნა და როგორც თავად მითხრა, სრულფასოვანი, ძლიერი დარტყმის განხორციელებას ამის გამო ვერ ახერხებს, თორემ იმ მომენტებს ქარს ნამდვილად არ გავატანდიო.

ისეც არ იყო, თითქოს ირლანდიელები მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი, რაც შეხვედრის მეორე ნახევრის დებიუტშივე გოლით დადასტურდა: ფლანგური კონტრშეტევის და კერის დარტყმის შემდეგ ახალგაზრდუელი ნაკრების კაპიტანმა და მეკარემ, კვასხვაძემ უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელიც ჩვცენი კარის ბადეში აღმოჩნდა. მარცხი უვკე სრული კატასტროფა იქნებოდა და გაბელია "ვაბანკზე" წავიდა: 52-ე წუთზე მან თამაშიდან მცველი - თოთაძე მოხსნა, დაცვის ხაზში სამი ფეხბურთელი დატოვა და შემტევი - გაბედავა შემოიყვანა. ძალიან მალე, თამაშში "ოლიმპის" თავდამსხმელი, ჭედია და "ვიტ ჯორჯიას" ფორვარდი - კვარაცხელია გამოჩნდნენ მოედანზე, რის გამოც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მატჩი სამი ნომინალური თავდამსხმელით დაასრულა. შეტევის ხაზში ასეთი რაოდენობრივი მატების მიუხედავად, ანგარიშის გათანაბრების, რომ იტყვიან, 200-პროცენტიანი საგოლე შანსი პირველს "დინამოს" მცველს, თომაშვილს მიეცა, მაგრამ ამ ფეხბურთელმა კარის საგოლე ხაზიდან 3-4 მეტრისდისტანციიდან ბურთი მაინცა და მაინც მეკარეს გაარტყა. საბედნიეროდ, ფორტუნამ ჩვენი გუნდი არ გაწირა და მატჩის დასრულებამდე შვიდიოდ წუთით ადრე სტუმართა საჯარიმოში შექმნილი ქაოსით კვარაცხელიამ იხეირა და დებიუტი გაბელიას ახალგაზრდულ გუნდში მეტად მნიშვნელოვანი გოლით აღნიშნა. ბოლო წამებზე მეტოქისთვის ხელიდან გამარჯვების გამოგლეჯაც შეგვეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ანანიძის კიდევ ერთი ფანტასდტიური გადაცემის შემდეგ ჭედიამ გოლის გატანა ვერ შეძლო. საბოლოოდ, ტრადიცია არცამჯერად დაირღვა და უკვე მეოთხედ, საქართველოს და ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დასრულდა. ამ შეხვედრაში ვყითე;ლი ბარათები მიიღეს ანანიძემ და დაუშვილმა, რომლებიც ამის გამო შვეიცარიელთსაწინაარმდეგ თამაშს ვერ შეძლებენ. საბედნიეროდ, ამ დანაკლისის გარკვეულწილად შევსება დისკვალიფიკაციამოხდილი ხიდეშელის და სანაიას შემატებით იქნება შესაძლებელი.

ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში, ლიდერმა შვეიცარიამ ფავორიტის სტატუსი კიდევ ერთხელ დაამტკიცა და გასვლით მატჩში შეძლო თურქეთის ძლევა ანგარიშით 3:1, ესტონეთმა კი სომხეთს მოუგო 1:0.

"ქორები" კონფერენციის ლიდერები გახდნენ

ფაჩულია კევინ გარნეტის წინააღმდეგ

განვლილ უქმეებზე ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" NBA-ს რეგულარულ სეზონში ორი მატჩი გამართა და ორი დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გასვლაზე ლიგის ერთ-ერთი ლიდერის, 2008 წლის ჩემპიონის "ბოსტონ სელტიკსის" ძევა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინა შეხვედრებთან შედარებით უკეთ ითამაშა ზაზა ფაჩულიამაც.

იგი მოედანზე პირველი პერიოდის დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე გამოჩნდა და ორ წუთში მის აქტივში უკვე 4 ქულა და 2 შეტევითი მოხსნა იყო. სხვათა შორის, ქართველის პირველი ზუსტი ტყორცნის შემდეგ, სტუმრები 8 ქულით (22:14) დაწინაურდნენ, თუმცა, მეოთხედის დარჩენილ მონაკვეთში "ბოსტონმა" იძალა და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა.

მეორე და მესამე პერიოდებში თამაში თანაბრად მიმდინარეობდა. გადამწყვეტი მეოთხედის დასაწყისში კი "ჰოუქსის" კალათბურთელებმა მოინდომეს, დროის მოკლე მონაკვეთში მეტოქეს 10:2 აჯობეს, რომელსაც სათავე ჯამალ კროუფორდმა ზუსტი ორქულიანით დაუდო, ხოლო ფაჩულიას შედეგიანად შესრულებული საჯარიმოების შემდეგ, ატლანტელები 10 ქულით (82:72) დაწინაურდნენ და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ფაჩულიამ მოედანზე გატარებულ 14 წუთში 6 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 4 მოხსნა (3 შეტევითი) და 1 ჩაჭრა ჩაიწერა. ამასთან, იგი სამჯერ დაჯარიმდა და ერთხელაც შეცდა. საბოლოო ჯამში "ატლანტამ" აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერი ანგარიშით 97:86 დაამარცხა.

რაც შეეხება, ქართველის უშუალო კონკურენტ ალ ჰორფორდს, შეხვედრაში მონაწილე კალათბურთელთაგან იგი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო - დომინიკელმა ცენტრმა 12 ქულა და 13 მოხსნა მოიხვეჭა.

ბოსტონში "კელტების" დამარცხენბის შემდეგ "ქორებმა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" ნიუ ორლეანელი "კრაზანებდის" დამარცხება შეძლეს და აღმოსავლეთ კონფერეციის სატურნირო ცხილის სათავეში მოექცნენ 8 გამარჯვებითა და ორი მარცხით.

ამ მატჩში "ატლანტას" უპირატესობა იმითაც იყო განპირობებული, რომ სტუმრები თავისი ლიდერის კრის პორლის გარეშე თამაშობდნენ. თამაში მთლიანად ჯორჯიელთა უპირატესობით წარიმართა მასპინძლებმა სოლიდური ჰანდიკაპი პირველსავე მეოთხედშგი შექმნეს და 9 ქულით დაწინაურდნენ, შემდეგ ატლანტელთა უპირატესობა მეთოდურად იზრდებოდა და საბოლოოდ ვუდსონის შეგირდებმა 121:98 იმარჯვეს.

შეიძლება ითქვას, რომ ზაზა ფაჩულიამ ეს მატჩი ხუთიანზე ითამაშა. ქართველელმა ცენტრმა მისთვის განკუთვნილ 14 წუთში 5 ქულა, 5 მოხსნა და 5 პერსონალური შენიშვნა დააგროვა.

ზაპზას მთავ, ჯორჯიელთა შორის საუკეთესო კი ჯოშ სმიტი გახლდათ 17 ქულითა და ამდენივე მოხსნით.

ადრიანოს აღიარება

ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ აღიარა, რომ ერთ დროს თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა.

"სპორტსმენები ხშირად ხდებიან დეპრესიის მსხვერპლი. ამ პრობლემას მე წავაწყდი და სულ ცოტა დამაკლდა იგივეს გაკეთებამდე, რაც რობერტ ენკემ ჩაიდინა. ეს 2004 წელს მოხდა, როცა მამა გარდამეცვალა. არ ვიცოდი, საკუთარ თავს სად გავქცეოდი. დავიწყე ალკოჰოლის დიდი დოზით მიღება. იმედი მქონდა, ეს გზა პრობლემას დამავიწყებდა. სმასთან ერთად ჩემს საფეხბურთო კარიერასაც საფრთხე დაემუქრა. საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე. საბედნიეროდ, ახლობელთა წრეში ტრიალმა სიცოცხლისა და ფეხბურთის თამაშის ხალისი აღმიდგინა. ახლა მზად ვარ, ნაკრებში დასაბრუნებლადაც ვიბრძოლო", - აღნიშნა 27 წლის ფორვარდმა.

"ვალენსიამ" მატა შეინარჩუნა

ესპანური "ვალენსიას" ახალგაზრდა ნახევარმცველმა ხუან მატამ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა და აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, მისი შეძენის მსურველ კლუბს 90 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

"ეს, ხუანის მიერ კლუბში გატარებული ორი სეზონისთვის, საუცხოო დაფასებაა. ამ ხნის განმავლობაში, ის როგორც ფეხბურთელი აშკარად გაიზარდა. ჩვენ მოლაპარაკების შედეგით კმაყოფილნი ვართ" - განაცხადა ფეხბურთელის მამამ.

აღსანიშნავია, რომ მატას გადაბირებას "ბარსელონა" და "მანჩესტერ იუნაიტედი" ლამობდნენ.

"ჩელსი" დროგბას გარეშე დარჩა

ლონდოის "ჩელსის" ფეხბურთელებს ტრავმები მოეძალათ. ისედაც პირთასმდე გადავსებულ გუნდის ლაზარეთს ახლა დიდიე დლროგბა დაემატა. დიდიემ ნეკნი "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში გაიტეხა, თუმცა იმ თამაშში ეს ვერც თავად დჟროგბამ შენიშნა და ვერც ექიმებმა. აფრიკელმა თამაში ჩაჩმთავრა ხოლო კოტ დივუარის ნაკრებიში გამოცხადების შემდეგ ტკივილები ვეღარ აიტანა და უკვე ნაკრების ექიმებმა დაადგინეს, რომ ფორვარდს ნეკნი აქვს გატეხილი.

დღეს დროგბა ინგლისში დაბრუნდება და მკურნალობის პროცესსაც მას საკლუბო ექიმები დაუნიშნავენ. სავარაუდოდ, კოტდივუარელ თავდამხმელს 3 კვირის გაცდენა მოუწევს, რაც "ჩელსის" თავკაც კარლო ანჩელოტის სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის.

შენი თავისუფლება ჩვენი თავისუფლებაა

პაკიაომ ფილიპინებში რევოლუცია მოახდინა

კოტომ პაკიასოთან ქამარი ტექნიკური ნოკაუტით დაკარგა

გიგა გურასაშვილი

ლას ვეგასგასში ისეთი ჩხუბი იყო, კრივის მექას რომ შეეფერება. რინგის ერთ მხარეს თუ წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული ფილიპინელი მენი პაკიაო იდგა, მეორე მხარეს ნახევრადსაშუალო წონაში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) პუერტორიკოელი მიგელ კოტო. არცერთს არ დაეწუნება ოსტატობა და მუშტში ძალა და, ალბათ, ამიტომაც იყო მათი ორთაბრძოლა ფაქტობრივად თანაბარძალოვანად რომ წარიმართა. გამარჯვებულის გამოსავლენად კი მსაჯთა დათვლები გახდა საჭირო. ერთი სიტყვით, პაკიაო VS კოტო 12 რაუნდში გაიწელა, ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება და ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ს ბრილიანტის ქამარი კი ფილიპინელს დარჩა.

დიდი ჩხუბის შემდეგ დალილავებული პაკიაო აღიარებდა, მიგელ კოტო კერკეტი კაკალი გამოდგაო. გარდა იმისა, რომ გამარჯვებას და სანუკვარ ქამარს დაეპატრონა, დღეის იქით ფილიპინელი ერთადერთია საკრივო სამყაროს ისტორიაში, რომელიც შვიდ წონით კატეგორიაში დაეუფლა საჩემპიონო ტიტულებს.

"მძიმე ორთაბრძოლა გამოდგა. გარდა იმისა, რომ ისტორიული მიღწევაა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი რამ ფილიპინელმა გააკეთა", - "როიტერთან" საუბარში საკუთარ წარმატებას უსვავდა ხაზს პაკიაო.

მართალია, ლას ვეგასური ჩხუბის გამოსავლენად მსაჯებისგან ქულების დაანგარიშება გახდა საჭირო, მაგრამ სტატისტიკას თუ გადავხედავთ პაკიაო მეტოქეს დარტყმების სიზუსტით (336 172-ის წინააღმდეგ) ორი თავით აღემატებოდა. აი, ძალისმიერი დარტყმებით კი ლამის სამჯერ აღემატებოდა (276 93-ის წინააღმდეგ) პუერტორიკოელს.

როგორც არ უნდა იყოს, ჩია ფილიპინელმა საკუთარი საქმე გააკეთა და მომავალი ორთაბრძოლისკენ მიაპყრო მზერა. არა, მომავალი რაღაც ურიგოდ ჟღერს. საშუალო წონითი კატეგორიებში ბევრი ისეთი მოკრივეა, რომლებიც საკრივო სამყაროში ქუხან. ერთგვარი ელიტარული წრეა შეკრული, სადაც კონკურენცია მძაფრზე მძაფრია. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია ახლახანს რინგს დაბრუნებული ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი. კაცი, რომელიც კრივიდან წასვლამდე ასევე მიიჩნეოდა წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს უძლიერეს მოჩხუბრად. აკი, პაკიაო-კოტოს დასრულების შემდეგ ფილიპინელის გულშემატკივართა არმია სკანდირებდა: ფლოიდთან ჩხუბი გვინდაო. მათი არ იყოს, იგივე სურს ფილიპინელის მწვრთნელს ფრედი როუჩსაც. ეგაა, პაკიაომ განმარტა, მომავალი მეტოქის არჩევა პრომოუტერ ბობ არუმისთვის მიმინდვია. ამ საქმეს ჩემი პრომოუტერი აკვარახჭინებსო.

და კიდევ, პაკიაო VS კოტოს ლასვეგასურ ჯახს, რომელიც ფილიპინებში პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა, არნახული ტელემაყურებელი ჰყავდა. მეტიც, ეკლესიები და ქუჩები დაცარიელდა, პოლიციამ კი საკუთარ მოხსენებებში აღნიშნა, ტრანსლაციისას ბევრს ქალაქსა თუ რაიონში დანაშუალობებს და უბედურ საგზაო შემთხვევებს ადგილი არ ჰქონიაო. ინტერესი იმდენად დიდი იყო პაკიაო-კოტოს ორთაბრძოლის მიმართ, რომ სკვერებსა და ქუჩებში საგანგებოდ დაამონტაჟეს მონიტორები. ერთნი უკეთესი ხედის იმედად ქუჩის განათების ბოძებზე თუ ხეებზე მოკალათებულნი უყურებდნენ ლას ვეგასიდან ტრანსლაციას. ეგ კი არა და სექტემბერში ტაიფუნისგან დაზარალებული ერთ-ერთი ქალაქის მერმა ფასიანი ტრანსლაციისთვის საკუთარი ჯიბიდან გაიღო თანხა, რათა 2,5 ათას მის თანამემამულეს, რომელიც სარჩო-საბადებელსაა მოკლებული და სპორტულ დარბაზებში შეხიზნულან, პაკიაოს ჩხუბისთვის ეცქირა. კიდევ ერთი ქალაქის მერმა კი საკუთარი ყოველკვირეული რადიოგადაცემა გააუქმა პაკიაოს ჩხუბის ყურების სანაცვლოდ.

და ბოლოს, აჯანყებულმა მუსულმანებმა, რომლებსაც სახელისუფლებო ჯარებთან ომი გაუჩაღებიათ, 79 წლის ირლანდიელი მისიონერი მაიკლ სინტონი გაათავისუფლეს ერთ თვიანი ტყვეობიდან.

"შენი თავისუფლება ჩვენი თავისუფლებაა, - დამტყვევებლებს ციტირებდა მისიონერი. - არც ჩვენ გვსურს აქ დიდი ხნით შეყოვნება. ჩვენ პაკიაოს ჩხუბის ხილვა გვსურს".

21%-დან

ავტოგანვადება

▲ განახლებული საპროცენტო განაკვეთი

▲ სესხის გაცემის გამარტივებული პირობები

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს